

9 772298 035006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ფასი 3 ლარი

პერიკი

1134
2021



2021
6 (298)

ლუიზ ბლიჰი
დუმბილის ხელოვნება

პერსონა	1	დუმბილის ხელოვნება - ინტერვიუ ლუიზ გლიკთან ინგლისურიდან თარგმნა ინგა ყელენტმა
	7	ლუიზ გლიკი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა
	10	ლუიზ გლიკი ნობელის პრემიის მიღებისას ნარმოთქმული სიტყვა ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	12	ლუიზ გლიკი ორი ესე ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მაჭარაშვილმა
	17	რობერტ ბოიერსი რეალობის გაკერპებისა და ტანჯვის გარეშე ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო ლიზა ძაგნიძემ
პოეზია	23	ლია სტურუა ზაფხულის ლექსები
პროზა	25	ნინო ჩერქეზიშვილი ღვინის დედა
თარგმანი	33	ლორა ბოანანი შექსპირი ბუჩქნარში ინგლისურიდან თარგმნა ანა მგელაძემ
კრიტიკა	40	ლექსო ლოპუანძე „შრომა, გურია“ - ცენტრიდან პერიფერიამდე
რეცენზია	44	კაილი სმითი ყველაზე მადლიერი ინგლისელი დრამატურგ ტომ სტოპარდის ახალი ბიოგრაფიის შესახებ ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კონპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი აბალოშვილი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლამა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფურიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყეილიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - ფასსანმემალი სინდინდოთა

სულთან-ხაზა

პრილი - მზის შუში, რამიზე ფემფგარნი

ქართული ენა განმარტებით ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ძარბული ლიტერატურის
გარბილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge

f AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან


© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოდის აკადემიკოს
კულტური, ამორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



დუმილის ხელოვნება - ინტერვიუ ლუიზ გლიკთან

ინგლისურიდან თარგმნა ინგა ჟღენტმა



ელიზა გონსალესმა, რომელიც ლუიზ გლიკის სტუდენტი იყო იელის უნივერსიტეტში, ეს ინტერვიუ «ვაშინგტონ სქვეასთის» 2014 წლის 18 ოქტომბერს ჩაწერა პოეტის სახლში, რომელიც მანაჩუსეტსის შტატის პატარა ქალაქ კემბრიჯში მდებარეობს.

«როგორც კი მექმნება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი თავი ვიპოვე და შემიძლია მასზე საუბარი, მაშინვე საპირისპიროს გავკეთების სურვილი მიჩნდება» - ამბობს ლუიზ გლიკი. მისი შემოქმედება მოულოდნელობის ეფექტისკენ უწყვეტი სწრაფვაა: ერთ-ერთ ინტერვიუში პოეტმა თქვა, რომ ლექსების მეორე კრებული «მარშლენდის სახლი» პირველი წიგნის, «პირმშოს», იმ რეცენზიის საპასუხოდ დაწერა, რომელშიც ავტორი ამტკიცებდა: «დღეს ჩვენ უკვე ვიცით, მომავალში რას უნდა ველოდოთ ლუიზ გლიკისგან.» გლიკი ხშირად აღნიშნავს, რომ პოეტის შემოქმედებითი სრულყოფისთვის ცვლილებები და სიახლე აუცილებელია: «მე თუ რამე მაქვს სათქმელი რომელიმე თქვენგანისთვის, ვინც წერს, უნდა გითხრათ, რომ ერთხელ უკვე ნათქვამის გამეორება სიმშვიდეს არ უნდა განიჭებდეთ. ეს უდიდესი მარცხია, რადგან ხელოვნება არ მიისწრაფვის არსებული რამე ფორმით მტკიცებისკენ, არამედ დამალულის და უხილავის აღმოჩენისკენ.»

ბოლო კრებულ «ერთგულების და სათნოების ღამეში» გლიკი პირველად საუბრობს დუმილის კონცეფციაზე. პოეტისთვის შემოქმედებითი პაუზა დუმილის ყველაზე შემადგენელი და შემზარავი ფორმაა, რადგან ხელოვანი მხოლოდ შემოქმედებით პროცესში ყალიბდება: «სიტყვა „პოეტი“ ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ; პოეტობა მისწრაფების აღმნიშვნელია და არა საქმიანობის. „პოეტი“ არ არის ის არსებითი სახელი, რომელიც კონკრეტული რამის მიღწევის შესაძლებლობას

აღნიშნავს - ამბობს გლიკი ესეში „პოეტის განათლება.“ შემოქმედის დუმილის დუმილი ტანჯავს - არა გორც ამჟამისმირი აგონია, არამედ როგორც ამ დუმილის მუდმივად გაგრძელების შიში. კრებული ამბის გადმოცემის პროცესში ერთმანეთს ენაცვლება ორი ხმა - კაცი მხატვარი და ქალ პოეტი. ამ პერსონაჟების მეშვეობით გლიკი სხვადასხვა რაკურსიდან შლის მტკივნეულ თემებს. მხატვარი ყველაზე დაუფარავად საუბრობს, თუ როგორი დამანგრეველია დუმილი ხელოვანისთვის. „ერთგულების და სათნოების ღამე“ ბევრად მტკივნეულ დუმილს ეხება - სიკვდილს და დაბერებას. სიკვდილი და მოკვდაობა გლიკისთვის ახალი თემატიკა არ არის, მაგრამ პოეტის ბოლი ნიგნში ამ საკითხების აღქმა და მათზე დაკვირვება ისეთი შეუპოვარია, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ, ვერ შეებრძოლები. ნიგნის პირველი ლექსი „სიკვდილის საუფლო“ სიცოცხლესთან გამოთხოვებას აღწერს და ასე იწყება - „მე გავხდი დიდებული რაინდი - მივექანები ჩამავალ მზისკენ.“ სწორედ თავისუფლების ეს შეგრძნება უნარჩუნებს კრებულში სიკვდილის და დაბერების მძიმე თემას შაეროვნებას. ნიგნი გაჯერებულია თავისუფლების განსაკუთრებული შეგრძნებით - მკითხველს არ ტოვებს განცდა, რომ ყოველი მოგზაურობა იმ უსასრულო ძიების გზაა, სადაც პროცესი უფრო მნიშვნელოვანია და ღირებულია, ვიდრე თვით მიზანსა და გარდაუვალი დასასრული. ნიგნში ჩანს გლიკის უსაზღვრო წარმოსახვა - პერსონაჟი მხატვრის ამბის გადმოცემის სტრუქტურულ ქარგად ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპია გამოყენებული, დანყებული ქაბუკობის ასაკიდან, ხანდაზმულობამდე. კრებულში თავმოყრილია სიურრეალისტური ლექსები, სადაც სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარი ნაშლილია, რადგან სწორედ ეს ზღვარი მოიაზრება ადამიანის ცნობიერების მთავარ დაბრკოლებად. თავისუფლების შეგრძნება ტონალობების დემოციების ფართო სპექტრითაა გამძაფრებული - ნიგნში ყველაფერია: ფიქრის უსასრულობა, გარდაუვალი სიკვდილთან სტოიკური შეგუება, იმედგაცრუება, სიხარული, გასხივოსნება (ეპიფანია), ექსცენტრიკულობა და იუმორი.

ფილოსოფიური ნიაღვრელებით თუ სიურრეალისტური ლექსიკით გლიკი ავრცელად გვაშოგზავრებს პროზაული ლექსის სამყაროში. პოეტის მეტყველება მინიმალისტურად მარტივია, მაგრამ, ამავე დროს, ეს სიმარტივე იტევს აზრის შეუზღუდაობას და მასშტაბურობას - ნიგნში სიტყვები სათქმელთან ისეა შეკავშირებული, რომ ღრმად ჩაფიქრებასთან ერთად ამოსუნთქვის საშუალებასაც იძლევა - სიმართლებით დატვირთული ვრცელი ღირიზმი პერიოდულად ნივრალდება და სიმსუბუქით ივსება. სიკვდილის საუფლოშიც ნიაღვრების მიუხედავად, საბოლოოდ, სიცოცხლე იმარჯვებს. ლექსში „პორიზონტთან ახლოს“ მხატვარი უახლოვდება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს. სწორედ ამ დროს ის საცხოვრებლად გადადის მონტანაში, სადაც სიყვარულს პოულობს.

- სანამ ახალ ნიგნზე ვისაუბრებთ, მინდა თქვენს სემინარებზე გკითხოთ, კერძოდ, თქვენ სემინარის სტრუქტურის შესახებ. ფიქრობ, ფორმატი, რომელსაც იყენებთ, უნიკალურია: თითოეული სტუდენტი ყოველ კვირას ირჩევს ერთ ლექსს. სემინარზე, რომელიც დაახლოებით ორ-ნახევარი საათი გრძელდება, მხოლოდ სამი ლექსის განხილვას ვასწრებთ. თითოეულ ლექსს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - ოც წუთში ყველაზე მთავარს ვამბობთ, დანარჩენი დრო კი სიღრმეებში ჩანვდომას ვცდილობთ.

- კი, ასეა.

- ეს შესანიშნავი და ძალიან პროდუქტიული პროცესია. მაინტერესებს, როგორ მიხედოთ ამ ფორმატამდე. იყენებდით თუ არა იმავე მეთოდს, როდესაც პირველად დაიწყეთ ლექციების წაკითხვა? როგორ დაიწყო და დაიხტა ეს პროცესი?

- ვცდილობ გავიხსენო, როგორ მიმდინარეობდა სემინარები. ფიქრობ, პირველი სემინარებიც მსგავსი უნდა ყოფილიყო, რადგან შედაგოგიკისთვის დიდი დრო არასდროს დამითმია. რა თქმა უნდა, ხუთი წუთის განმავლობაში სრული-

ად შესაძლებელია ბევრი მნიშვნელოვანი რამ თქვა. ჩემთვის ჩავევ ცხადია, რომ მსჯელობის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს მოგვიანებით ეჭვქვეშ ვაყენებთ. იმასაც ვცნობიერებ, რომ წერის პროცესში საოცარი გასხივოსნების შეგრძნება გეუფლება, თუმცა, საკუთარი აზრის გან დროში დისტანცირების შემდეგ ყოველთვის ჩნდება რაღაც „მეგრამ“... და როცა ასე ხდება, უკვე საინტერესოა. მერე ცდილობ, რაღაც გრანდიოზული გამოსავალი იპოვო და ამ დროს ლექსის თითოეული ნიუანსი ზედაპირზე ჩანს. მიყვარს ეს მომენტი. უილიამსის როლეჯშიც ასე ვასწავლიდი - განვიხილავდით სამ ლექსს და ვწრდით ანოტაციებს. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. არის მომენტი, როდესაც ფიქრობ, რომ ეს საშინელებაა, რადგან ნაკითხული მხოლოდ სიკრილილის განცდას გიტოვებს, შემდეგ კი ფიქრობ, ნუთუ, ეს არის ცხოვრება? და როგორ მტყიცდება, რომ სწორედ აქ, ამ პროცესში ცხოვრობ და არა სხვაგან? ხელოვანიც აქ ცოცხლდება - მკითხველის ტექსტთან ურთიერთობის პროცესში. ეს კი ხშირად ცვლის ადამიანებს. ფიქრობ, რომ სწორედ დაკვირვების ეს სიღრმე აძლევს ადამიანებს საკუთარი ბრწყინვალე გონების გა-

მოყვების შესაძლებლობას. თუმცა, ეს ყოველთვის არ ხდება.

- **მე ყოველთვის ვამბობ, რომ მასალის რედაქტირება და გადაშუაება თქვენგან ვისწავლეთ. გადაშუაებაში ვგულისხმობ არამხოლოდ ტექნიკურ შესწორებას, არამედ მთლიანად საკითხის და ხედვის გადააზრებას, სათქმელთან მიბრუნებას, ახალი იდეის ამოქმედებას. ეს პროცესი რთული ბრძოლაა და დიდ გამძლეობას მოითხოვს. ვერ ვიხსენებ, ოდესმე თუ გვისაუბრია თავად როგორ ნერთ, როგორ მუშაობთ.**

- არ გვისაუბრია.

- **მაინტერესებს რა ხდება ამ შემთხვევაში თქვენთან და ეს პროცესი სხვადასხვა წიგნის მიხედვით რამდენად განსხვავებულია.**

- რა თქმა უნდა, განსხვავდება. ზოგიერთი წიგნი იმდენად სწრაფად იწერება, რომ მიზრად არაფერი იცვლება და პირველივე ვერსია იბეჭდება. თავდაპირველად, როდესაც წერა დაიწყო, მუდმივად ვარდაქტირებდი ლექსებს. ეს ჩვევა ჩამოიწყო ახლა და ახლაც ასე ვიქცევი, რადგან მსურს დაწერილი ისეთი ლექსი, რომელიც რაღაც გავლენას გამოიწვევს ან სიახლეს განცდის მოიტანს. მე საკითხს ასე ვუდგები და ვფიქრობ, მაქვს ამის შესაძლებლობა კომპეტენცია. ლექსში უსიცოცხლო და ინერტულ ადგილებს ინტუიციით ვგრძნობ. სტეინლი კუნიცი¹ არასდროს ტყუვდებოდა, როდესაც აუთ ადგილებზე მიმითითებდა. ის მამხნევებდა და შრომისკენ ასე მომიწოდებდა: „მოდი, აბა, დაუბრუნდეთ გზის მშენებლობას.“² მჯეროდა, რომ ეს პროცესი ერთგვარი თავდადება იყო. ჩემს თავს ვეკითხებოდი: რაზე ვამბობ ნამდვილი ლექსის დაწყებას ვაპირებ? მიმაჩნდა, რომ ჯობდა დავტანჯულიყავი, ტკივილი განმიცადა და თითოეულ ლექსში სრულყოფილებას შეძლებისდაგვარად მივახლოვებოდი.

- **რედაქტორების პროცესი ლექსის სრულყოფის ქვეცნობერ სურვილს შეავს.**

- თითოეულ ფრაზას რუდუნებით ვეყარობი. ნით უმეტეს, თუ ეს სიკვდილის და იმედგაცრუების ნიშანებს ეხება. „არარატის“³ შემთხვევაში წერის პროცესი ნელი და ბანგრძლივი იყო. სწრაფად წერის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა მახსენდება. „გარდამავალი სილუეტი“⁴ საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწერა. შემდეგ უკვე „ველური ზამბახი-

და“⁵ მოყოლებული წერის პროცესი ძალიან სწრაფად მიდიოდა და იშვიათად თუ დავარდაქტირებდი რამეს. ბოლო რამდენიმე წიგნზე შრომატევადი რედაქტირება დამჭირდა, რადგან პარალელურად ვმუშაობდი. ჩემი ბოლო წიგნები ძალიან განსხვავდება წინამორბედებისგან. „ცხოვრება სოფელში“⁶ სრულიად განსხვავებული იყო. როდესაც კრებულზე მუშაობას ვამთავრებდი, ლექსები ცოტათი კონცენტრირებული მომეჩვენა. მიეჩვედი, რომ რაღაც არასწორად გავაკეთე. ამიტომაც გავიფიქრე, მოდი, დაასრულის გავრცელებას დავეწერ-მეთქი. ვიგრძენი, რომ ეს საოცარი აღმოჩენა იყო. რეალურად, ეს რაღაცები ახალგაზრდა პოეტების ლექსების შეფასების პროცესში ვისწავლე. როდესაც სპენსერ რისის⁷ „კლერკის ზღაპრის“ ხელნაწერს გავეცანი, ვხედავდი, სახე იყო საოცარი მასალებით, მაგრამ ბევრი რამ ზედმეტი იყო. ლექსები ლაკონური ორტაყუდებით მთავრდებოდა, ხოლო კრებულის სათაურად გამოტანილი ლექსი მოცულობით სამჯერ პატარა იყო, ვიდრე სხვა დანარჩენი. ასე რომ, როგორც კრიტიკოსი, რედაქტორისთვის საჭირო გამოცდილებას მანამდე ვიღებდი, სანამ იგივე ხარვეზებს წემს ნამუშევარში აღმოვაჩენდი. ვგრძნობდი, რომ რისის ლექსები მოულოდნელად მთავრდებოდა, რადგან ავტორმა ვერ გაიაზრა, რა უნდა ყოფილიყო შემდეგი ნაბიჯი. ცხადი იყო, რომ მას რაღაც თავიდან უნდა დაეწყო. მაშინ მე მისი შემოქმედება იმდენად კარგად მესმოდა, რომ შემძლო მისთვის გერჩია, რომელი ტაეპი სად წაესვა, რომელი სტროფი სად გადაეადგილებინა, რომელი ლექსი სად, როგორ დაესრულებინა - აბა რომელი უნდა გაეგრძელებინა. სწორედ ამ მუშაობის პროცესში ვისწავლე რედაქტირებისთვის საჭირო ტექნიკა. დღის განმავლობაში ჩვენ ოთხ-ხუთჯერ ეთაუბრობდით ტელეფონზე. მე მას არასდროს შევხვედრებარ, მაგრამ ინტენსიური სატელეფონო ურთიერთობა გვექონდა - მწერთნელის ფუნქციის ვითარებადი და სულ ვუბნებოდი - ახლა ეს სტადე, ახლა კი ეს. ეს ყველაფერი ლექსის ბანგრძლივი სივრცის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. ის მიდიოდა იმ ეტაპამდე, სადაც ლექსის ტაეპი უნდა დაესრულებინა, მაგრამ ეს დასასრული მხო-

¹ სტეინლი კუნიცი (1905-2006) - ამერიკელი პოეტი

² „არარატი“ - ლუიზ გლიკის N5 კრებული (1990)

³ გარდამავალი სილუეტი - ლუიზ გლიკის N3 კრებული (1980)

⁴ ველური ზამბახი - ლუიზ გლიკის N6 კრებული (1992)

⁵ ცხოვრება სოფელში - ლუიზ გლიკის N11 კრებული (2009)

⁶ სპენსერ რისი (1963-) - ამერიკელი პოეტი

ლოდ დროებითი პაუზის შთაბეჭდილებას ტოვებდა - იგრძნობოდა, რომ სათქმელი უნდა გაგრძელეუბოდიყო, რადგან სიცარიელე აგვერდებინა. მეტისმით, რომ ეს შეტისმეტად აბსტრაქტული ახსნაა, მაგრამ ეს ასეა და მეც ამ პროცესში ვისწავლე.

- **„ცხოვრება სოფელში“ ნამდვილად ძალიან განსხვავებული წიგნია. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ყოველი ახალი კრებული წინა წიგნის ერთგვარი უარყოფაა.**

- ასეა, გოგელ შემთხვევაში, გცდილობ. ეს თავგადასავალს უნდა ჰქადევს, გართობას, ისეთ რამეს, რაც მანამდე არასდროს გავიკეთებია. მე წინა, დასრულებული ნამუშევრის სრულყოფა არასდროს მაინტერესებდა.

- **მაინტერესებს რას ეხმაურებით, რის თქმას ცდილობთ „ერთგულების და უმანკოების ღამეში“ და ეს წიგნი როგორი თავგადასავალი იყო.**

- ეს სრულიად განსხვავებული რამ იყო. მე ყოველთვის ბევრ პროზას ვკითხულობ - მაშინ აირის მერდოკს ვკითხულობდი. მიყვარს აირის მერდოკი, მისი სიბრძნე და სილამე, მათი ერთდროულად მიღწევა ხშირად შეუძლებლადაც კი მიჩინევა. კითხვის დანერგვამდე დაახლოებით ორ-ნახევარი წელი შემოქმედებითი პაუზა მქონდა და მეშინოდა, რომ წერას ვერ შევძლებდი. რაღაც მომენტში დაიწყო თითქოს უმნიშვნელო ლექსების წერა და ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი - ხომ ვწერდი და ტრივიალურობა არც კი მადარდებდა. უბრალოდ მაღლიერი ვიყავი, რომ ვწერდი. მგონი, პირველი, რაც დავწერე, იყო პატარა ლექსი „წარსული.“ ეს იყო ლირიკული ლექსი, ჩვეულებრივი ლირიკა, პიტერ სტრენდის⁷ გავლენით დაწერილი. მინდოდა, დაერწმუნებოდა, რომ არ ვიყენებდი მის ენას და ჩემი თავი ვყოფილიყავი. ეს მისწრაფება მე თვითონ აღმაფრთოვანებდა და საერთოდ არ ფიქრობდი, რომ რამე ამაღლებულს, ან საინტერესოს ვქმნიდი. უბრალოდ წერა მამბედნიერებდა, განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონია, ეს კი ჩემთვის რაღაც ახალი იყო. და იმ ერთი ტონალობით, რაც კრებულის ყველა ლექსში ისმის, დავწერი პირველი ვრცელი ლექსი, რომელშიც მხატვარი ლაბარაკობს. წიგნის პირველ ვერსიაში მხატვრის ნაცვლად ბავშვი იყო, რომელიც დედასთან ერთად ფერმაში ცხოვრობდა. დედა კერვით იყო გატაცებული. კერვას ტექსტში ბევრი სტრიქონი ეძღვნებოდა, მაგრამ დაბნელებით სამი სტროფის შემდეგ ძალია გამომეცალა, რადგან წარმოადგენა

არ მქონდა ამ ლირიკული ხმის ჩრჩხილში გამხრებდი. ჩემს შენიშვნებს და კომენტარებს ჩანაწერებზე ვინახავდი - ვფიქრობდი, იქნებ რამეში გამომადგეს-მეთქი. შემდეგ იმ ლექსის წერას შევუდექი, რომელიც კრებულის სათაურად უნდა გამომეტანა, მაგრამ სასტიკად არ მომწონდა, მეგონა, სანაგვეზე უნდა მომესროლა, რადგან ღირებულიად არ მიმაჩნდა.

- **მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ამ წიგნზე მუშაობის პროცესი სხვებთან შედარებით ხანგრძლივი იყო.**

- ხუთი წელი. დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საუკეთესო ნამუშევარია, მაგრამ მასზე მუშაობის პროცესში ასე არ ვფიქრობდი. უფრო მოვიგინებთ აღმოვაჩინებ ის რაღაცები, რასაც თავიდან ვერ ვხედავდი.

- **რას გულისხმობთ?**

- იმას, რომ ეს ერთი ამბავია, სხვადასხვა რაკურსიდან მოყოლებული. როდესაც კრებულზე მუშაობა დავასრულე, ისევ დაბრკოლების პირისპირ აღმოვჩნდი - მხოლოდ რამდენიმე ლექსი მომწონდა, რომლებიც წიგნის მთლიანი ჩანაფიქრისთვის არ იყო საკმარისი. მაშინ კეტი დევისმა⁸ კაფკას მოთხრობების წაკითხვა მირჩია. ასეც მოვიქციე და ეს ძალიან დამეხმარა - პროზაული ლექსი დავწერე.

- **და ეს პირველად როდის მოხდა?**

- სწორედ მაშინ, როდესაც გავიფიქრე, ეს რანაგავი დამინერია-მეთქი. იმ საღამოს ფრენკ ბილარტთან⁹ უნდა მეგახმამა და ვიფიქრე, სანამ მე თვითონ გადავადგებ ლექსებს, ფრენკს ვაჩვენებ-მეთქი, რადგან მისგან მწვავე კრიტიკის მოსმენა ჩემთვის პრობლემა არ არის. ახლო მეგობრებს ბევრჯერ მწარედ გავუკრიტიკებია. ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა აზრთა სრულიად საპირისპირო პლასტებზე ყოფნა.

- **პირველი პროზაული ლექსი რომელი იყო?**

- „მესხიერების თეორია“. შემდეგ ამ სტილში წერა გავგრძელე და უფრო გამაღვიძლდა. ისე ველავადი, თითქოს ექსტაზში ვიყავი. დაგროვილ მასალას უკვე მთელ წიგნად აღვიქვამდი და მიუხედავად, კრებული როგორი უნდა გამოსულიყო - ეს უნდა ყოფილიყო ერთდროულად მსუბუქი და პეროვანი, მღელვარე და მტკიცე, სიურრეალისტური და ექსტაზური, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად რეალური და ნამდვილი.

- **ექსტაზსა და სიმსუბუქეზე თქვენმა ნათქვამმა დამაფიქრა. როდესაც „ნიუ იორკერში“ პირველად გამოქვეყნდა ამ კრებულიდან ლექ-**

7 პიტერ სტრენდის (1969-) - ამერიკელი პოეტი

8 კეტი დევისი (1956-) - ამერიკელი პოლიტიკოსი

9 ფრენკ ბილარტი (1939-) - ამერიკელი პოეტი



სი „თავდადასავალი“, მაშინვე ნავიციოხებ და გა-
ვიფიქრე, რომ ეს სრულიად სხვა რამ იყო. ლექ-
სში მოცემული სურათ-ხატების და ხმების შთა-
ბეჭდილების ქვეშ ვიყავი - რაინდი, ცხენის ჭიხ-
ვინი, მუდმივი დაეჭვების და უარყოფის მდგო-
მარობა, ასევე ის იუმორი და სილალე, რაც ამ
ყველაფერს ახლდა. თუ კრებულმა „ცხოვრება
სოფელში“ თქვენი პოეტური ფორმების არეა-
ლი გააფართოვა, ამ წიგნის შემთხვევაში სიახ-
ლეა არა ფორმის თვალსაზრისით, არამედ აქ
ვხედავთ წარმოსახვის მეტ თავისუფლებას, მოგ-
ზაურობის მეტ მასშტაბს და სიმბოლიკას.

- ამ აქტენტებში მეც გვთანხმებით. ეს უმე-
ტწინაილად იმის დამსახურებაა, რომ აკუთხარ თავს
მალე სტანდარტებს ვუწესებ, მაგრამ, ანაათან
ერთად, ნაკლებს ველოდები.

- კრებულში ერთმანეთს ენაცვლებიან მხატ-
ვარი და პოეტი. ის თემები, რომლებზეც აქ სა-
უბრობთ - მოკვდაობის გაცნობიერების ტრა-
გიზმი, კომუნისტების შეუძლებლობა და ურთი-
ერთობათა სირთულე, ადამიანის უსუსურობა,
ძიების, პოვნის და დაკარგვის ურთიერთმონაც-
ვლეობა და ერთმანეთისგან განუყოფლობა, სიკ-
ვდილთან მიახლოება, თქვენთვის ახალი არ არის,
მაგრამ მე მაინტერესებს, როდესაც ამ თემებზე
მხატვარს ალაპარაკებთ, ეს რამდენად განიჭებთ
თავისუფლებას თქვენი აზრების გადმოსაცე-
მაზე?

- ერთადერთი რამ, რაშიც თავს ნამდვილ ექ-

სპერტად გგრძნობ, დუმილია ხელოვნება. იყო
წენს ცხოვრებაში საშინლად მტანჯველი დუმი-
ლის, წმომცმედებითი პაუზის პერიოდები, როდე-
ააც ვერ გწერდი, თუშეცა ეს არ მაღელვებდა, რად-
გან ამ სიზუნენდე ეიფორიული დასკენია შეძდეგ
მიყვდი. მაგრამ დროის გააღლაათან ერთად უფ-
რო და უფრო დავდარდიანდი. თავიდან წეგონა,
ანია მიწეუნი იმის გაცნობიერება იყო, რომ არა-
ფერი შეძქმნია ისეთი, რითაც შეიძლება გამიხ-
სენონ. წემდეგ გაეცანობიერე, რომ უსუაურობის
და სიცარიელის ეს განცდა იმან განაპირობა, რომ
ემოციებთ ქაღალდზე არ გადმოქონდა. გეცადე,
დიდი ეწერგია წანედო წერის დაწყებაში, მაგრამ
არ განიზიერე. გარკვეული დროის შენდეგ კი ვიგ-
რძენი, რომ ამ განსაცდელიაგინაც შეიძლებოდა
რამე წესწავლა. ამის შესახებ არაადროს დამინე-
რია პირველ პირში, ცოფელ შემთხვევაში ზემი სუ-
ბიექტური გამოცდილების გაგულენით.

- ალბათ, ამ ყველაფრისგან დისტანცირება
გჭირდებოდათ.

- მინდოდა, იგივე ამბავი მოწეწოლა სხვის შე-
სახებ. არ მსურდა, შირდაპირ მეტყეცა, რომ
„სიტყვებში წინაბოგეს.“ ამ მათოაის ლექაეში წა-
ნიკითხავს და არ მოწწწონს. მე სიჭუმეზე არ მიაა-
ზბრია, მაგრამ მთელი ზემი ცნობიერი ცხოვრების
წანაილზე შეჭეკობილი ვიგავი სიკედლის და წოკ-
ედაობის თემებით. ლექსები, რომლებიც კრებულ-
ში - „ერთგულების და უმანკოების ღანგ“ - ამ თე-
მას ეხებთ, განაგრავებულა. მათში არ არის აიკ-

ვდილთან დაპირისპირების პათეტიკა და გადმოცემული განცდები არ გამოხატავს მინიერი ცხოვრების ლინიტირებულით გამორეულ აღმოფთვებას. არ ვარ დარწმუნებული, ამ უდარდლობის განცდას თუ მოშავალშიც შევინარჩუნებ, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთელი ცხოვრება სიკვდილთან დაპირისპირების შემდეგ რაღაც ეტაპზე გიწნდება სურვილი, რომ სიკვდილიც კი „დაიკლო“ და თქვა: „ნადი, შენი.“

- როდესაც თქვენი სხვადასხვა წიგნიდან შერჩეული ლექსების კრებული სახელწოდებით „ლექსები 1962-2012“ გამოვიდა, წინააღმდეგი იყავით, ამ წიგნისთვის „კრებული“ ეწოდებინათ, რადგან მიგაჩნდათ, ეს თითქმის მიანიშნებდა იმაზე, რომ ამ კრებულის შემდეგ არაფერი ახალი არ იყო მოსალოდნელი.

- ნამდვილად ასე იყო.

- მახსოვს ასევე, რომ ამ წიგნთან დაკავშირებით ფრაზა „უფრო სიკვდილიც“ კი გამოიყენეთ.

- „გამოსათხოვარი სიტყვა.“

- „გამოსათხოვარი სიტყვა.“ იმ დროს იყო დიდი, რომ „ერთგულების და უმანკობის ღამე“ დაიწერებოდა?

- არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ამაზე ფიქრის უფლებას ვაძლევდი საკუთარ თავს - რატომღაც ყოველთვის თან დამატებდა მაგური განცდა, ჩემი ყოველი წიგნი აღვიქვამ გამოწვევად, რომ შევქმნა ახალი. ხანდახან ყველა ჩემს წიგნს ერთად მოვაჯივრებ და ვფიქრობ, ყოჩაღ, ფუჭად არ გაგივლია ცხოვრება, მაგრამ შემდეგ მალევე მიპყრობს ფიქრი, რომ წიგნის დასრულებასთან დაკავშირებული საიმაყე კარგი სულაც არ არის. ერთი რანის დანამდვილებით თქმა შემიძლია „ერთგულების და უმანკობის ღამესთან“ დაკავშირებით - მგონია, რომ ადამიანების უმეტესობა, ვინც ზუსტად ისე იგებს ამ წიგნის სათქმელს, როგორც მე, დაახლოებით ოცდაათიდან ოცდაათ წლამდეა.

- და თქვენი აზრით ეს რამ განაპირობა?

- ფიქრობ, ჩემი ასაკის ადამიანები წიგნთან მოკვდაობის შესახებ თავიანთი განცდებით მიდიან, რადგან სიკვდილი ძალიან აშინებთ. წიგნი სულაც არ არის შიშზე, არანაირი ნეტარების მდგომარეობის ეტება, როდესაც ყველა შიში და მოლოდინი დაძლიებულია. კითხვის პროცესში გრძნობ, რომ შეგიძლია სიკვდილზე ხელი ჩაიჭირო, რადგან სიკვდილით თავად ხარ გატყდენილი, ამის გაცნობიერებისთვის წიგნი სულ არ გჭირდება. ეს რაღაც ღვთაებრივი უდარდლობის მდგომარეობაა. ხანდაზმულ ადამიანებს კი უფრო ის ლექსები მოსწონთ, რომლებშიც მოკვდაობის თემაა ნამყვანი ან სადაც ვინმე ეკვდება.

- როგორიყა მაგალითად ლექსი „პირი ზონტანი ახლოს“?

- დიახ. ეს ერთ-ერთი ნაკლებად მნიშვნელო-

ვანი ლექსია იმ წიგნში, მაგრამ ჩემი ასაკის ადამიანები სწორედ მასზე აკეთებენ განსაკუთრებულ აქცენტს.

- ამ ლექსში ნამდვილად არის საავადმყოფოს მონიტორი და სიკვდილი.

- მაგრამ შენდევ მხატვარი მონიტორში მიდის სადაც სიყვარულს იპოვის.

- ძალიან მომწონს ეს მონაკვეთი.

- მეც. უბედური ცხოვრების შემდეგ მე ხელოვანი ადამიანი სიყვარულით დაეჯილდოვე - მას უკვე ბოიფრენდი ჰყავს!

- არაწვეულებრივი რამაა, როდესაც სიცოცხლის მიწვევას სიყვარულს პოულობ. ამ ლექსში ასევე მომწონს ის, რომ გგონია დამთავრდა, მაგრამ ამ დროს სრულიად მოულოდნელად გრძელდება და ეს გაოცებს. ასევე რამდენიმე სასაცილო ადგილზე ვავამახვილებდი ყურადღებას, მაგრამ ფიქრობ, რომ თქვენ სასაცილო პოეტად არ მიიჩნევით.

- სინამდვილეში მე ძალიან სასაცილო პოეტი ვარ, მაგრამ კრიტიკოსები უფრო იმაზე შემოთდნენ, რომ ჩემგან ახას არ ელოდნენ. მე ყოველთვის მიწოდებ ქალაქზე რაც შეიძლება მეტი ემოცია გადმოვტანა და ნუღმივად მეცვალა სიქარებში.

- მე მაინტერესებს, წერის პროცესში ფიქრობთ თუ არა მკითხველზე, ან თუ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა სხვის აზრს და ეს რამდენად ახდენს თქვენზე გავლენას?

- არა... ფიქრობ, წერის პროცესში ერთდროულად ორივე როლი გავს მორგებული-მკითხველიც ხარ და მწერალიც. ბევრნაირი მკითხველი არსებობს სამყაროში - გონიერი მკითხველი, მიუხედავად, მაგრამ მგზნებარე მკითხველი, ინფორმირებული მკითხველი, არაინფორმირებული მკითხველი, რომელსაც ატლის შეგრძნება აქვს ან არ აქვს. სტილს კონკრეტულ მკითხველს ხომ არ მოარგებ? მე არ მესმის ეს რას ნიშნავს... საკმაოდ თავდაჯერებული ვარ, რადგან რედაქტორის კარგი ალღო მაქვს და მომწონს, სხვადასხვა ტიპის ნამუშევარს რომ ვცნობი. მე ჩემი წიგნისგან სრულიად განსხვავებულ წიგნებზე მიმუშავია. ბოლო რამდენიმე ათეული წელია, განსაკუთრებული სიახლოვე მაქვამიერებს ახალგაზრდა თაობის პოეტებთან. ეს საოცარი რამაა - დღივანერგით გმუხტავს. მებრძოლებიან ადამიანები, რომლებსაც ეს არ აქვთ გააზრებული. მიყვარს, როდესაც სხვებს ვასწავლი. ყოველთვის ეძიებო ალფრთიანებას იმაში, რასაც ვაკეთებ - სტუდენტებთან ურთიერთობა ხომ სრულიად განსხვავებულ შეხედულებებთან და აზრთვანებასთან კავშირია.

- ბოლოს აუცილებლად ამ სიტყვებით უნდა დავასრულო: „ისევ გლიკი იმარჯვებს.“

- და ერთი სურათიც უნდა გადავიღოთ.

ლუიზ გლიკი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

ზეციური მუსიკა

მეგობარი წყავა, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა სამოთხის.
ის სულელი სულაც არ არის, უბრალოდ, მთელი არსებით ელაპარაკება ღმერთს,
ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - ჰგონია, ცაში ვიღაც ზის და უსწმუნა.
მანაზე ის უჩვეულოდ კომპეტენტურია.

მანაც ვიცი, შეუძლია უსიამოვნებებს თვალი თვალიმ გაუყაროს.

მუხლუხი ვიპოვეთ, მიწაზე უფლო, კვდებოდა, გაუმადარი ქიანტყელები ზედ დაცოცავდნენ.
ყოველთვის მაშინებს ცუდი ამბავი. აეთ ღროს მიწებზე ხოლმე, სიცოცხლეს წინააღმდეგობა გაგუნო,
მარტინ მორცხეი ვარ, გერაინ დამასწრებს თვალია დახუჭვას.

ზემბა ნეცობარმა შეძლო, თვალი არ წოქმოწებია. უბრალოდ, ბელი არ წეშაღა
ბუნებრივი მოვლენება განვითარებას. შერე კი მაინც ჩემი გულისთვის ჩაერია,
დამიჯნული სხეულიდან ხელით მიმოვანდა ქიანტყელები და მუხლუხი
წაიდან გადაიყვანა.

ჩემი მეგობრის აზრით, თვალებს იმითმ ვხუტავ, რომ ღმერთი არ დავინახო, სავანაიად ვერ აიხანება
რეალობის მიწაზე ჩემი სიუღელელი. ანბობა, რომ ბავშვობით ვიცევი, რომელიც ბლიმში რგავს თავს,
რათა დასანახი არ დავინახოს; ბავშვი, რომელიც საკუთარ თავს ეუბნება,
რომ სინათლე სევედა იწვევს.

ჩემი მეგობარი დედებს შვავს. მოთმინებით ელის, როდია გავედკივებ მასავით ზრდასრული, რისკენაც
დღეობით მოწინააღმდეგა, გაბედული ადამიანი...

ჩემს სიზმრებში მეგობარი სულ მსავედგურობს. იქ იმავე გზაა
ნიუფეგებით. მხოლოდ, სიზმარში ზამთარია;
ის მისისა, რომ თუ აღამაინა სამყარო უცვარს, ზეციური მუსიკა ესმის;
ნაღლა აიხედეთ, - მეუბნება. ვიხედები და არავფრია.
მხოლოდ ღრუბლებია, თოვლი, თხარი ნივთიერება ხეებზე,
თითქოს პატარძლები ამიტარან წარმოუდგენელ სიმაღლეზე.
უცებ მის გამო შენეშანდა; ვხედავ, დედაშინაზე საგულდაგულოდ
გადაფარებულ ბადეში გაიხლართა.

სინამდვილეში გზის პირას ვსადგვართ, მზის ჩასვლა ვუყურებთ;
სიზმრს დროდადრო ჩიტების ძაღლი მსჭვალავს.
სიწორედ აეთი მომენტებია ახანას გეგლილობთ - ფაქტია, რომ
გვათავისაფლებს, ძეგბა გეგვრის აიკედილი და ამირტოვე.
ჩემი მეგობარი ტალახიან მიწაზე წრეს ხაზავს; შიგნით მუხლუხია, რომელიც არ იღვრას.
ის სულ რაღაცის გამოთიანებას და გლანაზებას ცდილობს,
სერა, ისეთი რან შექმნას, რაც მისგან დამოუკიდებლად იარაგებს.

უატიცოდ ვსხედვართ. სიმწიდე მოაქვს ასე ჯდომას, ხნას რომ არ ვიღებთ. კომპოზიცია უძრავია.
უცვლად გზაზე ჩამობნელებდა, შავრი
უფრო გრილი ხდება, აქა-იქ კვები იწყებენ ბრწყინვას, ეღვარებას -
ეს სიმწიდე გვიყვარა ორივეს.
ფორმა სიყვარული დასასრულის სიყვარულზე ნიაშიშნება.

ერთგულების მითი

როცა შადევი დარწმუნდა, რომ გოგო უცვარდა,
მისთვის მეორე ცალი დედაწინა ააგებია, პირველის ასლი,
იგივე იყო გვიდაფერა მდელის კიდენდე
მხოლოდ ანოლი ზაანატა.

გველაფერი იგივე იყო ნზის შუქის ჩათვლით.
გაჭირდებოდა პატარა გოგოსთვის სწრაფად გადასვლა
გამკაბა ნათლიდან სრულ უკუნეთში.

ამიტომ გადაწყვიტა, თანდათანობით გაეცნო დამე.
პირველად, როგორც ათრიოდებული ფოთლების ჩრდილი,
მერე მთვარე და ვარსკვლავები. მერე როგორც უმთავრობა და უვარსკვლავობა.
და, მეღზნელა შეჩვეოდა ბნელს პერაფეონე.
ბოლოს სიბნელე კიდევ უფრო დაამშვიდებდა, ასე ფიქრობდა.

დედამიწის ასლი. იმ განსხვავებით,
რომ აქ სიყვარული არსებობდა.
განა, ყველას არ აურს სიყვარული?!

მრავალი წელი იცადა ჰადესმა,
თან ამყაროს აშენებდა, თან თვალს ადევნებდა
მედიკონზე პერსეფონეს.
პერსეფონეს - სურნელია შემშცნებელა, გემოს გამსინჯავს.
ჰადესი ფიქრობდა, თუკი ერთ რომელიმე გემოს შეიცნობ, ყველა დანარჩენსაც მოიპოვებო.

ყველას სურს, ღამით იგემებდეს
სიყვარულს სხელს, შემოესალტოს, მიიზიდოს!
სურს, რომ ესმოდეს მშვიდი სუნთქვა, რომელიც ხიშნავს
ცოცხალი ვარ. ეს კი, თავია მზრივ, იმას გულსაბნობს,
შენ ხარ ცოცხალი, გესმის ჩემი ხმა,
აე ხარ, ჩემ გვერდით. და როცა ერთი მეტრიალდება,
მეორეც მისდევს -

აი, ასეთი შეგრძნებები უზნდებოდა ბნელის ნეუფეა, როცა
ახალ საწყაროს გამყურებდა, პერსეფონესთვის აშენებულს.
ნის გონებაში არასდროს გაჩენილა აზრი იმის შეახებ,
რომ იქ მალე ყოველგვარი სუნი გაქრებოდა,
შესაბამისად, ყოველგვარი საკვები.

დამაშაული? ზაფრა? სიყვარულის შიში?
გონებაშიც კი არ გაუვლიო.
ასეთ საგნებზე შეყვარებულები არ ფიქრობენ.

ის ოცნებობს, არჩევს რა სახელი უნდაოს ახალ ადგილს.
ჯერ იფიქრა ახალი ჯოჯოხეთი, მერე ბალნარი.
ბოლოა, გადაწყვიტა პერაფეონეა გმანვილქალობა დაერქმია.

რბილი შუქი დაადგა თავზე სწორ და გლუვ მდელის,
საბოლოს უკან. ჰადესმა მკლავებში მოიქცია,
უნდაოდა ეთქვა: მე შენ მიყვარხარ, არაფერი გემუქრება,

მაგრამ გადაწყვიტა,
ტყუილი იქნებოდა, დაბოლოს ასე უთხრა:
მკვდარი ხარ უკვე არაფერი გემუქრება,
და ასეთი დასაწყისი უფრო საიმედო ეჩვენა,
უფრო მართალი.

ეპითალამა¹

მანამდე სხვები იყვნენ; მათი სხეულები
მოსამზადებელი ეტაპი იყო.
მოიხიდა ასეთების ნახვა.

ენახე მათი ხეცნა-მუდარისგან დამდგარი ორთელი.
რამდენი ტყვილია სამყაროში - ეს ამორფული
სხეულებრივი მსუხარება. ამ სხეულების ენა

¹ ნეფე-დგოდლის სადადეგელი, ხაქონილი სიმღერა

შეშლილი,
ივლი დარბაზებში ცუდებით მირთმეული ვირდების
არსებობა

ქაოთა გულისხმობს. მერე კი იწყება
ქორწინების საბინელო საქველმოქმედო
შემცნარებლობა.

ქმარი და ცოლი

ამგანებულ მთაზე ადიან ოქროსფერ ნუქში.
ფულიან, ანამ მთა არ გაქრება
და სხორი ველი გადაიხლება ცით დასაზღერული.

კაცმა თქვა: აი, ჩემი ხელი, -
თუცა ეს ითქვა დიდი ხნის წინათ, -
ხელი, რომელიც არასდროს გავნებს.

ცხენი

რას განიგება ეს ცხენი ისეთს,
რასაც მე ვერ მოგანიგებდი?

თვალს გადავინებ, როცა მარტო ხარ,
როცა მინდორზე მიატენებ რძის ფერმის უკან,
შენი ხელები ჩამარბულია
მუქფერ ფაფარში.

ცხენები, რა იმალება შენი სიჩქმის მიღმა:
ზიზღი და ჩემი სიძულვილია, ჯორწინების ზიზღი.
მინც გინდა,

რომ შეგებო: გულამოსკვით ტირი, როგორც
პატარძლებმა იციან, მაგრამ გიყურებ და ცხედავ
შენს სხეულში ბავშვები არ არიან.
მაშ, რა არის?

არაფერია, ასე მგონია. მხოლოდ სულსწრაფობა -
ჩემამდე მოკვდა.

სიზნარში ვნახე ცხენს მიატენებდი
გადამხმარ მინდვრებზე და ჩერე

ჩამოქვეითდი: თქვენ ორნი ერთად მიაბიჯებდით
სიბნელეში, ჩრდილები არ გეცნოდათ.
ისინი კი, გვრწმუნობდი, ჩემკენ მოეშურებოდნენ,
ღამით ხომ სადაც უნდა, იქით წავლენ
ჩრდილები საკუთარი თავის პატრონ-პატრონები
არაინ.

შემომხედ: გგონია, არ მესმის?
ცხოველი სიბა არაფერია, თუ არა
ამ ცხოვრებიდან გასასვლელი გზა.

აპრილი

ზემი ხასონარკვეთა შეუღარებელი, არავისას ჰგავს.

ამ ბაღმარში თქვენი ადგილი არ ყოფილა,
საუბრებს თუ ფიქრობთ, ასეთი გამაღიზიანებელი

გამოხატვით ფორმები რადგან გაქვთ; კაცმა დაიწყო
მთელი ტყე გაზარდოს, დაუფარავად აკეთეს
საქენა.

ქალი კოჭლობა და უარს ამბობს ტანსაცმელია
გამოცვლაზე,
თავის დაბანაზე.

გინდ ელაპარაკეთ ერთმანეთს, გინდ, არა!
სულ არ მადარდება.
მაგრამ, იცოდეთ, ეგულისხმობს, რომ
მტეს მოველოდი თქვენ ორისაგან,
იმათგან, ვისაც ცუდა მიყვია: თუ ერთმანეთზე
არ იზრუნებდით,
აუღ წიკირე, იმას მაინც იგებდეთ,
რომ მნუხარება ერცელდება და მრავლდება
თქვენში, შორის ყოველთა ნათესავთა, სწორედ ამ
ნიშნით

მე თქვენ გცნობთ ბოლმე, როცა ველური
ცისთვალეში აღიბეჭდება
სევდიანი მუქი სილურჯით, ტყის იები კი
სითეთრის ფერით.

ფანტაზია

რალაცას გეტყვით: ადამიანები ყოველდღე
კედებიან. თან ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია.
მგლოვიარე სახლებში ყოველდღე ჩნდებიან ახალი
ქერივები,
იზადებიან ახალი ობლები. ქერივები სხედან
გულხელდაკრეფილი
და ფიქრობენ, როგორი იქნება ახალი ცხოვრება.

მერე მიდიან სააფულოზე. ზოგი მათგანი
არ ყოფილა იქ არასოდეს. ქერივებს ტირილის
ესინიათ,
ისიც, რომ ვერ იტირონ. დროდადრო ვიწმე იხრება
მათკენ
და ჩურჩულით ეუბნება, რა გააკეთონ, რაც იმას
ნიშნავს,
რომ ამ ქერავითა სიტყვას ელვან, ან დრო ნოსულა
მიაყარონ აიღალ საფლავს მიწის გორახი.

და ამია შემდეგ ყველა ბრუნდება ისევ მკედრის
სახლში,

რომელიც უცებ იცვება ხალხით.
ქერივი ტანტზე ზის, ლამის უძრავად.
ამიტომ იალხი მის სანახავად რიგში დამდგარა.
ზოგი ხელა კიდებს ხელის მტევანზე, ზოგი - ცხველა.
ისიც ყველაათვის პოულობს სიტყვას.
მადლოერია, მადლობას იხდის თანაგრძნობისთვის.


სინამდვილეში მხოლოდ ის სურს, მალე წავიდნენ,
უნდა საფლავზე დაბრუნდეს ისევ. უნდა, დაბრუნდეს
საფლავდნყოფა პალატარია. თან იცის, ასე არასდროს
ხდება,
მაინც უკუსულია სურვილია ბოლო იმედი. იმ დროში
არა,

როცა შედგა ქორწინება ან პირველი კოცნა.
არა, სულ ოდნავ უნდა უკან დახევა.

ლუიზ გლიკი

ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვა

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



ბავშვობისას, დაახლოებით ექვთი-შვიდი წლის ასაკში, გადაეწყვიტა გამერყვია, თუ რომელი ლექსი იყო საუკეთესო მსოფლიო პოეზიაში. საბოლოოდ, არჩევანი ორ ლექსზე შევაჩერე. ეს იყო ბლეიკის „შავკანიანი ბიჭუნა“ და სტივენ ფოსტერის „მდინარე სუანი“. ბოლოსაც ვცემდი ბებიაჩენის ახლის საძინებელ ოთახში, სედარპერსტში - სოფელში, რომელიც განლაგებულია ლონგ-აილენდის სამხრეთ სანაპიროზე. უბნოდ ვკითხულობდი (ასე მერჩივნა) ბლეიკის დაუთინყარ ლექსს და ვმღეროდი, ასევე უწყურად, ფოსტერის შესანიშნავ სეფიდან სიმღერას. არ ვიცი, როგორ მივაგენი ბლეიკს. ალბათ, ჩემი მშობლების ბიბლიოთეკაში, უამრავ პოლიტიკურ ნაშრომთან და აღრაცხელი რაოდენობის რომანებთან ერთად, რამდენიმე პოეტური ანთოლოგიაც მოიპოვებოდა. მაგრამ ჩემს წარმოდგენაში ბლეიკი სწორედ ბებიაჩენის საბავშვო ასოცირდება. ბებია კითხვის მოცარული ქალი არ იყო. სამაგიეროდ, იყო მღერო, „უმიანკობია და გამოცდილების სიმღერები“, აივზე - პანაშინა კრებული სიმღერებისა შესპირის პიესებთან, რომელთაგან მრავალი ზე-

პირად დავისწავლე. განსაკუთრებით მომწონდა სიმღერა „ვიმბუდინიდან“. ალბათ, შინაარსი არ მესმოდა, მაგრამ მეამოდა კილო, რიტმი, მღეროი იმპერატივები, რომლებიც ძალზე ძაღლეებდა მე - მოკრძალებულ, გულწათნობილ ბავშვს. „დაე, დიდებით შეიმოსოს მენი საფლაფი“. სწორედ ამის იმედი მქონდა.

პატივისა და დიდების მოსაპოვებლად ბრძოლა ბუნებრივად მტკიცებოდა; მთავრში - ჩემს პირველ აკითხავ წიგნში - ამაზე ხშირად იყო საუბარი. ნიშანდ (მამნაც კი, როდესაც ძალიან ნორჩი ვიყავი), რომ მსოფლიოში საუკეთესო ლექსის ავტორი - ბა - უდიდესი პატივი იყო. ანე გიზრდებოდი მე და ჩემი და, რომლებსაც იდეალად გვესახებოდა აამ-მონლოს გადარჩენა (ჟანა დ'არკი) და რადიუმის აღმოჩენა (ნარი კილრი). მოვდიანებით გავიარე ივარ-ქიული აზროვნებითა აანშროვებანი და მესლუდებო, მაგრამ ბავშვობისას ძალზე მნიშვნელოვნად მესვენებოდა ლიდერობის მიღწევა. ლიდერად წარმომდგინა მთის თბეშე მდგარი პიროვნება, რომელიც ყოველი მხრიდან ჩანდა. მის ქვევით მდგარი

აღმიაწიბი, არსებითად, უმნიშვნელონი და უწინარნი იყვნენ.

რაც შეეხება ლექსებს, ვიცოდით, რომ ბლუიკი კარდაცვლილი იყო, მაგრამ ჩემთვის ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგან მესმოდა მისი ხმა - შეცვლილი, მაგრამ მაინც მისი. როდესაც ვიბარაკობდი, ვგრძნობდი, რომ ის ჩემ გვერდით იყო, სწორედ - ჩემ გვერდით. მერყეულობდა, რომ განაყოთრებულა, პრივილეგირებული არსება გიცავდა; იმასაც ვგრძნობდი, რომ მიხდოდა გაცხადებული ბლევის, ისევე, როგორც - მეცსივრთა.

ჩემს სულში ბლევიცა გაიმარჯვა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რამდენად მსგავსი იყო ის ღირსეულს; მაშინ, ისევე, როგორც ახლა, მიზიდვდა ადამიანის ინდივიდუალური ხმა, რომელშიც სევდა ან ჩვილი ხშირდება. მოგვიანებით (უკვე ზრდასრულ სახეში) იმ პოეტებს ვანიჭებდი უპირატესობას, რომელთა რჩეული მსმენელი (ან მკითხველი) ყოველი. მათი ინტინური, მაცდუნებელი, ხშირად იდუმალი ხმა მესმოდა. არ მიზიდვდნენ საჯაროობიანად მიდრეკილი პოეტები. ან ისინი, რომლებიც საკუთარ თავს ესაუბრებიან.

მოშონდა ზიარებულიხის ეს გრძნობა. მოშონდა შეგრძნება იმისა, რომ ლექსში ბათქვამი იყო არსებითი და, ამავე დროს, პრივატული რამ.

პოეტი-ლიტერატორი არჩევის ცერემონია (გეზიანების საბაღი), მისი იდუმალეობის გამო, თითქმის ლექსთან დამატებული მჭიდრო კავშირის გაგრძელებას წარმოადგენდა: გაგრძელებას და არა რღვევას.

ბლუიკი შავკანიანი ბიჭუნას პირით მელანჟირა-კებოდა; მისი ფარული წყარო იყო, თუქცა მისი დანახვა შეუძლებელი გახლდათ, ისევე, როგორც შავკანიანი ბიჭუნას ვერ დანახავდა ან მკაფიოდ ვერ დაინახავდა ქედმაღალი თეთრკანიანი ბიჭი; ვიცოდით, რომ ის, რასაც ბიჭუნა ადამნაშაულებდა, სინართლე იყო, რომ მისი მოკვდავი სხეული სინათლისა და სინთინისა ტურქული იყო; ვიცოდით, რომ შავკანიანი ბავშვი, თავისი გრძნობებისა და განცდების შესაბამისად, თავისი ადამნაშაულებდა, არავისზე შუარიძიებას არ ისახავდა მიზნად; მას სწამდა, რომ იდეალურ სამყაროში - საიგიოში, ის თათბირი ქვეშაირი არათი სარგებლობა და უფლებები სიხარულით დიავდა უფრო სუაქ თეთრკანიან ბავშვს ჯარბი სინათლისგან. ლექსი გვაძლევდა, რადგან ეს იმედი განხორციელებულია; ის, აგრეთვე, ღრმა პოლიტიკურ მინარას შეიცავს. მსმენელი ამ ნეოსხეული (იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს მკითხველი ბავშვი), ხვდება, რომ ბავშვანაზი ბიჭუნა თავის თავში თრგუნავს გულსატკეცილსა და საშართლიან ცულისწერობას და რომ დედამისი მის დატყობი ფილოსოფი.

მაგრამ საზოგადოებრივი ღირსება - ანუ საქნება.

თეთლი სიცოცხლის განმავლობაში მატაცებს სწორედ ისეთი ლექსები, როგორებიც აღებრე - ლექსები, რომლებიც ავტორის ინტიმური განცდებთან დაკავშირებულია საგანმანათლებელ, რომლებშიც მსმენელი ან მკითხველი ავტორის თანამშრომლებს წარმოადგენენ: „მე - არავინ ვარ“ - ამჟამად დიკინსონი. - „შეაქ არავინ ხარ? / მამ წყველი გყო-

ფილვართ - ოღონდ ნურავის ვეცდები!“³ (მეტივესი) ზე: „მე და შენ ნაივლი ახლა, / როცა სადამო გაიმონა ცისკვედებით / როგორც ეთქმით გაბრუებული ავადმყოფი მაგიდაზე...“. ელიოტის პოეტური სტრუქტურა საჯარო არაა, ის ცალკეულ მკითხველზეა მიმართული, განსხვავებით, მაგალითად, შექსპირიანული სტრუქტურისგან: „აფხულის დილაც ვერ გადგება შენი სადარი“: ამ შედარებაში მე არავითარ მონათლულობას არ ვიძლე. შემოიღია დავტყებ შენსპირის არაჩვეულებრივად ვირტუოზული სტრუქტურებით, მაგრამ ამ ლექსის სამყაროს ნაწილი არ გაბლავართ.

პოეტისათვის, რომელიც ჩემთვის ახლაა, ჯგუფის, საზოგადოების თვალსაზრისების გამოხატვა უცხოა. სამეცნიერო, შინაგანი მენტეველების მართლურ ინტუიციას, მასში განიხილული თხუთა ან რწმენა ამჟამურებს მის შთამბეჭდაობას.

რა ხდება, როდესაც საზოგადოება, ამ ტიპის პოეტის განდევნია ან იგნორირების ნაცვლად, ტაშის უკრავს და განადიდებს მას? მე ვეცდები, რომ ასეთი პოეტი საშინრობებს იგრძნობს, იმას, რომ ის ქუაში მოთხუცეს.

ეს დიკინსონის თემაა. ყოველთვის - არა, მაგრამ ხშირად.

როდესაც მოზარდი გიყავი, გატაცებით ეკითხულობდი ენლი დიკინსონს, ჩვეულებრივ - გვიან ღამით, დასინებანდ, ასტუქროთ ოთახის დივანზე.

მე არავინ ვარ! ვინ ხარ შენ?

შენც არავინ ხარ?

და იმ ვარიანტში, რომელიც უფრო მოშნობს:

მამ ქველი ვყოფილვართ - ნურავის ვეცდები!

ხომ იცი, განცვადვინან...

დიკინსონმა შეამარჩია ან შეამაჩნია, როდესაც დივანზე ვიჯდებ. გამორჩეული, უჩინარი მეტაბოები ვიყავი; ეს ნხოლოდ ჩვენ გვიყოფიდა და თითოეული ჩვენგანი ძალას მატებდა მეორეს. ამჟამურში ჩვენ არავინ ვიყავით.

აქ ამ განვიხილავ, რა ზემოქმედებას ახდენს ენლი დიკინსონი ზოზარდ გოცონებზე. მიწა, მხოლოდ ის ვთქვა, რომ არსებობენ პოეტები, რომლებიც თავს არიდებენ საჯაროობას ან მოიჩვენებ მას ისეთ ადგილზე, რომელშიც განზოგადება სიზუტავა ანადგურებს, ხოლო ნაწილობრივი სიმართლე გულმწრფელობას ენაცვლება. იდეალისტის სახით: წარმოვიდგინოთ, რომ დიკინსონის ხმას ენაცვლება სასაზარდობის ბმა. „ჩვენ არავინ ვართ, ვინ ხარ შენ?“. ამგვარი რამ ხომ წარმოუდგენელია.

მოქტილობის დილას ჩემთვის მოულოდნელად თავსაჩინა დამეცა. შექცე თვალისმოშვრელი იცო. მას-მტაბი - უზარმაზარი.

მათ, ვინც ზიგნებს წერს, ალბათ, ბერის მიღწევა სურთ, მაგრამ ზოგიერთი პოეტისთვის ეს მოზანი ბაღსმავალი აუღიჭორია როდია. ისინი თავიანთ სათქმელს თანმიმდევრულად, ერთიმეორის მიყოლებით უზარდებენ ცალკეულ მკითხველებს.

ვფარობ, რომ როდესაც შევედვის ავადმყოფი ამ პოეტით დამაჯლოდდა, ამით წან გამოიბა პატივისცემა ინტიმური, პრივატული პოეზიისადმი, რომელსაც საჯაროობა ზოგჯერ აძლიერებს, მაგრამ ვერასოდეს ნებაცვლება.

ლუიზ გლიკი

ორი ესე

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მაჭარაშვილმა



შურისძიების შესახებ

ბავშვობაში მეტიმეტად განვიცდიდი ადამიანთა დამცირებას. ჩემი უფრო ადრეულ ამ საკითხთან მიმართებით ყოვლისმომცველი გახლდათ, ბოლო ის განცდები, რასაც ინდივიდთა ამგვარი ქცევა აღმოძრავდა, ღრმად ილექებოდა ჩემში. სწორედ ამიტომ ვენდობი ამდენი წლის შემდეგაც საკუთარ მოგონებებს, ვინაიდან ის ბავშვი, რომელიც ამ წუთას თვალწინ მიდგას და აღწერას ვაპირებ, პირდაპირი ანარეკლია იმ ზრდასრული ადამიანისა, რადაც იგი შემდგომ იქცა. მაშინაც ისევე მახსიათებდა გადამეტებული სიამაყე, როგორც ახლა. არაადროს მქონია სურვილი, რომ საკუთარი ტკივილი სხვისთვის გამეზიარებინა. დახმარების თხოვნასაც კი ვუკადრისობდი. სიამაყე... აი, რა განაგებდა ჩემს ქმედებებს. მეჩვენებოდა, რომ ამ განცდის გავლენით ჩადენილი ყოველი საქციელი ერთგვარად გამოირიცხებოდა კიდევ მრისხანებას (შურის საძიებლად ისიც კმაროდა, რომ საკუთარ თავთან ვალიარებდი ტკივილის ანდაც დამცირების მიზეზს. თითქოს შინაგანად ვგრძნობდი იმ კმაყოფილებას, რომელიც ჩემთვის ტან-

ჯვის მომყენებელს ეუფლებოდა). ვფიქრობ, რომ გაბრაზება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამოხატულებაა, რომ შენკენ ნასროლი ისარი მიზანს მოხვდა, დაიჭერი და ახლა სისხლი გდის. მნიშვნელობა არ აქვს მრისხანებას რა გამართლებას მოუძებნი, შეიძლება ის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განიხილო, მორალურ ანდაც ეთიკურ ქრილში (ამ იდეას საფუძველი საკონცენტრაციო ბანაკებში არსებულმა ამბებმა ჩაუყარა), თუმცა თუკი კარგად დაფიქრდებით, მალევე შეიძლება შევნიშნოთ, რომ თუნდაც იმავე საკონცენტრაციო ბანაკის ისტორიები ადამიანებში მძვინვარე განცდების ნაცვლად, ტერორის შეგრძნებას ამცაფრებენ. უკან რომ გავიხედო და თვალი გადავავლო იმ არაერთ დამცირებას, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განმიცდია, შემიძლია დანამდვილებით ვთქვა - ჩემი თავდაჭერილი, ცივი, გულგრილი იერის უკან, რომელსაც სპირად თავდაცვის ფუნქცია აკისრია, დიდი მრისხანება იმალება.

რაც უფრო მეტად ვუკვირდები საკუთარ ფიქრებს, სრულებით აღარ მიკვირს, რომ ჩემი გონება ყოველთვის სახსენი იყო არაერთი ოცნებით, რომ-

ლებიც ტრიუმფალურ გამარჯვებას უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ წარმოდგენათაგან არც ერთი არ ქცეულა რეალობად. ჩემი შურისძიება იმედგაცრუებათა მიზართ სხვაგვარი გახლდათ. შეიძლება ამას უშოქმედობაც კი უწერო. მე მძულდა, როცა დამცირებია შერდგომ ავამიანები ცდილობდნენ საპასუხო ქმედებაში დიდი ძალისხმევის ჩადებას. ტკივილის მიყვების შესაძლოა ჩვენი უშუალო ჩართულობა არ აჭირვებოდეს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ის დროის ყოველ მოწაყვით არაბობს. ეს რაღაც წრეულ პროცესს წაგავს, რომელიც მართლულად გრძელდება. ჩვენ ვსაჭიროებთ ჭრილობებს. ბევრს ვარს კლავს, საკუთარ ნაკლოვანებას აუღენს. იგი ამ აქტით ააქარა-გებს, რომ მასში ღრმად იყო დაღეჭილი დიდი ტკივილი.

შურისძიების ჩემუელი ვარაიაცია სრულებით სხვაგვარია. მე არ მინდა, რომ ვინმეს საკუთარი ქმედებით ტკივილი მივაყენო. ცდილობ, ჩემი თავი დავაჯერო, რომ შეურაცხყოფილი არ ვარ. საკუთრებით, მაგრამ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება (რასაც ჩემი არაერთი მოგონება უკავშირდება) ხშირად გამხდარა მრავალი ადამიანის შურის ობიექტი. სიმართლე ითქვას, სწორედ ეს მსურდა მეც. ვიცნობოდა, რომ ჩემი ქმედების შემურდებობათ, ვინაიდან შურისძიების ამგვარი ვარაიაცია მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ტკივილის მომზიდვებელი ობიექტის ცნობიერებაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ამ იდეის სრულყოფილად გააზრება.

ხშირად ვფიქრობდი, თუ როგორი ლეგენბი შემეძლო დამეწერა. წარმოვიდგენდი როგორი ექმნიდი მოთვლის დიდებულ ნიშნულს, რომელსაც წვითხელი არ აკლდა, არც ფორმისეული თვალსაზრისით დაენუნებოდა რამე. ისინი ამ მხრივ სრულყოფილები იყვნენ. ერთადერთი დაბრკოლება, როცა ამ ფიქრებში არ ვართულო ვანგებოდი, ის იყო, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობდი ამ ფორმითა სიდიადის გამოსახატავად. მე არ შემიძლო მათი სრულყოფილი ბუნების დახასიათება. თითქოს ამ ყველაფრის სიტყვებზე დაშლია მიჭირდა. ცხოვრების რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ ლიტერატურის ისტორიის არც ერთ მომენტში არ ყოფილა შემთხვევა, როცა ამის აღწერა ვინმემ შეძლო. არადა, დანებებას არ ვაპირებდი. ვერძინობდი, რომ პასუხი სადღაც უნდა ყოფილიყო, მას აუცილებლად უნდა ეარება, ვინაიდან ჩემი მისართება ლიტერატურისადმი ღრმა და ყოველმის-მომცველი გახლდათ. მე ვაძიებდდი ლიტერატურას. ხშირად ამ ფიქრებში ვართულის თარიღს ამატებოდა, თუმცა ამის მიზეზი სრულიად სხვა რამ იყო (წარსულში გაქცევებულ ამ განცდას, თითქოს ახლანდამ მომეცა ენა და გაქრებას არ აპირებდა). მინდოდა მთლიანად გამეფო ის უდაბლო ქვემარტება, რომელსაც შემთხვევით გადა-

ვამყდი. თითქოს რაღაც საყოველთაოდ აღიარებული კანონის პირისპირ ვიდექი, რაც ლეგენბი საფუძვლად მძლეოდა. უცნაურია, მაგრამ ეს შიში, რომელიც ამ მომენტის დადგომისას განვიცდიდი, არ მანადებოდა. მას, ჩემი მტერის მტავად, გონებით ყველგან თან დავატარებდი. ვიცოდი, რომ ამ ადამიანებში შიში ერთგვარად ერწყმოდა სირცხვილის საზარელ განცდას. ისინი აცნობიერებდნენ საკუთარ შეცდომებს, მაგრამ არ შეეძლოთ მათი გამოსწორება. ყველაფერ ამას ემატებოდა ამ ადამიანთა ნაკლოვანება, რომელიც იწირდა ჩემს მტერებს არასწორი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებდა. შურისძიების გეგმა, რომელსაც მოწინააღმდეგეთა მიმართ ხლართავდა გონება, დაჩენილი ლიტერატურული ფორმებითა და გამჭირაობით იყო აღსავსე. ჩემი მტრები საკუთარ თავს თვითონვე სჯიდნენ, მაშინ, როცა მე, ჩვეულებრივ, შესანიშნავ განწყობაზე განვაგრძობდი არსებობას.

ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში, მცირედ სახეცვლილი ფორმით - არაერთგზის განგებულა მოვლენები ზემოთ აღწერილი სცენარით. ეს გახდა თითქოს მესიერი პაუზი ყველა საჯარო თუ პირად წარუმატებლობაზე, ლაღატა და შეურაცხყოფაზე. მაშინ ბერის მეგობრები მამინაც, როცა საქმე უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე გაუგებრობასა და უზერხელობას ეხებოდა. ცნობილი, მათგან თავის დაღწევას დიდი ძალისხმევის გარეშე ვაჭირებოდი, თუმცა ეს უკანასკნელი გამეწილ იარაღს მხოლოდ მალაქოდ როდი ედებოდა. ის ცეცხლზე ნავთია დასხმას ჰგავდა. აქედან გამომდინარე განცდიდი ლესების წერის სურვილის მიმაფრებდა, რაც ხშირად დაუძლეველ მისარაფებად გადაიქცეოდა ხოლმე. წარმოუდგენელია, რომ ამგვარი შეგრძნებებმა უცერად, მთავრებით დაბადებული აზრი სრულყოფილად ჩაანაცვლოს. ისინი შეიძლება ინსპირაციად, ძლიერ იმპულსად იქცნენ პოეტისთვის, რომელიც შემდგომ მათ გარდაცმნის და წესაბამის ფორმას აძლევს. სწორედ ეს განცდები მაცოცხლებდნენ და მძლეობდნენ მამინ, როცა ჩემი გონება სრულიად იყო პარალიზებული. შურისძიების მომენტი, რომელსაც ამდენი ხასი გელოდი, ახლოვდებოდა. ო, როგორი სასიამოვნო და დიდებულია იმის განცდა, რომ მრავალწლიანი მოღვაწეობის დინ-ნელა სრულდება - ძალთა თანაფარდობა კი შენს სასარგებლოდაა. მთავებზედებები იცვლება, ახლა სრულიად სხვაგვარად გახსჯი სიტუაციას. აი, ეს არის ნამდვილად დიდი შემობრუნება.

ამოსავალი წერტილი, რაც ჩემს წარმოდგენებს ასაზრდოვებდა, დრო იყო. მე ვარგად ვიცოდი მისი უსასრულო ბუნების შესახებ და ისიც მესმოდა, თუ რაოდენ ყოვლისმომცველი იყო. აუცილებელი იყო საკუთარი თავისთვის გამეშვილა, თუ რა მამძილის გავლა იცნებოდა საჭირო, ანაბ ჩემი დამცირებული „მე“ გადაიქცეოდა „ტრიუმ-



ფიქსირებული არსებობდა. მურისაძისთან დაკავშირებული ენობრივი ფორმები მჭიდროდაა დაკავშირებული მომავალ დროათან: ისინი მიხედვით, მოინანიებენ, შეზუბდებიან და ა.შ. არაადრის მიფიქრია, რომ ასაკს ჩემს წარმოდგენაში არსებულ თეორიულ დაშვებებზე რაიმე გავლენა შეიძლება ჰქონოდა. ჩვენ შეზღუდულები ვართ დროითი თვალსაზრისით და ხშირად სწორედ ეს არის ერთადერთი რამ, რაც საფრთხეს უქმნის გონებაში არსებული გეგმების აღსრულებას. მიუხედავად ამგვარი ფიქრებისა, ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩემს წარმოსახვაში არსებული ამბები გაუზიარდნენ და უცხად ენერგიის მოზღვაება ვიგრძენი. სიმართლე ითქვას, ამას ვამაძლიერა.

ცხოვრებაში ყოველთვის დგება მომენტი, როცა ადამიანი გარკვეულ ასაკს აღწევს და ხდება, რომ დროის არც ისე დიდ მომაველში იცხოვრება (რასაკვირველია, ის აღიარებს, რომ დრო მიფრინავს). იგი აჩაბა კარგად იაზრებს და ხდება, რომ ამ მომენტში აღძრული განცდები განსხვავებულია იმ ფიქრებისგან, რომლებიც მას მაშინვე უტრიალებდა თავში. ადრე გამიცდიდა, თუ როგორ უსაზარათოდ და ნაადრევად შეიძლება დასრულებდეს ადამიანის სიცოცხლე, ახლა კი სრულიად სხვა რამ აღმოაჩინა.

კარგად ვიაზრებდი, რომ დრო მუდამ წინ მიიწევდა, რის გამოც ცეცხლოვანი ჩემს წარმოსახ-

ვაში არსებული საბეჭდი უცვლელად შემენარჩუნებინა. უასარსლოდ არაბულ მომავალში ჩემი მტრის ჩატი გაყინული და სტატიკური უნდა ყოფილიყო. მე მის განადგურებას ვირტუოზულად ვგეგმავდი, იმ სულიერი სიღრმით, რომელიც განაჩნდა. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი, რომ ეს პიროვნება ზუსტად იმის იდეალური ყოფილიყო, ვინც თავდაპირველად შეურაცხყოფა მომაცემია. აღსანიშნავია, რომ ჩემი მტრები, კრიტიკოსები, მეგობრები, კოლეგები... ყველა მათგანი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ისჯება და მათ რახდება დროის მიერ. მე მათდამი თანაგრძნობას ან ამ შეგრძნების მსგავს რაღაცას განვიცდიდი, რამაც ჩემი შურისმაძიებელი ბუნება შეარბია. შეიძლება ამას სახეცვლილებაც დაეარქვათ, უინაიდან ყურადღებას აღარ ვაქცევდი მურისაძის გეგმათა იერარქიას, არც ჩემში დაღვივებული გამოცდილებას გუთმობდი დიდ დროს. ადრინდელი სიმკაცრე და ძალადობისაკენ სწრაფვა უცხად შემწყნარებლობამ და კეთილშობილებამ ჩაანაცვლა. საბოლოოდ ამ ცვლილებებმა ნაკლებად გაბედულ ნაბიჯებამდე მიმიყვანა. ჩემს მტრებზე კვლავაც გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ეს გულის ტკივილი სამყაროში არ განსაულებებელია, მხოლოდ იმიტომ, რომ გადაეცემა იმედი ამ ყველაფრისთვის ენერგია არ შექმნილია.

ხანდახან საკუთარ თავს გამოვუტყუებდი ხოლმე, რომ ჩემი მტრები ძალიან მაკლია. ისინი ხომ

დღე ძალას მანიჭებდნენ. მართლაც, კარგი იყო, როცა ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ დრო გულუხვითა აღიზანთა მიმართ და მეც, პატარა ნაგის მსგავსად, შემძლია ვიცურო მრავალი წლის განმავლობაში. სიმართლე ითქვას, ახლა ამ საკითხმა მოხიბვლელობა დაკარგა. ეს, რაღაც აზრით, ჩემს პრაგმატულ დამოკიდებულებას ბრალია. ამჟამად, რომ აღნიშნული ცვლილება ძალიან მაღელვებს. საიდან შემძლია მივიღო ის ენერგია, რომელსაც მთელი ცხოვრება შურისძიებისგან აღარული ვნება მანიჭებდა?

2013 წელი

რეალიზმის შესახებ

სახეებით შესაძლებელია, რომ მე სრულებით არ მჭოდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რასაც ადამიანები რეალიზმს უწოდებენ, ვინაიდან, როგორც მკითხველი, ამ ტიპის ამბებს განმოვიწესებ არ განვასხვავებ.

ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც ბავშვობაში წავიკითხე, ბერძნული მითოლოგია იყო. გონებას წარსულიდან არაფერი ნაშუქია. ახლაც მასხვებს ადრეულ წლებში წარმოთქმული ლოცვები, რომლებსაც შენდვამ ახალი ტექსტები დაემატა. ყველაფერი ოზის სერიით დაიწყო, რომელსაც მოჰყვა ბოიგრაფიული ტიპის ნაწარმოებები („How to“ სერიული გამოცემები). ამ წიგნიდან გასაკუთრებით დამამახოვრებდა მაღალი კიბურის, ლუბიკოვია და ლედი ჯეინ გრეის ამბები. ასაკის მატებასთან ერთად, თანდათან დიდი ინგლისური რომანებიც შემოემატა სიბა. ამგვარი ლიტერატურის კითხვა გახსნაფეხული გამოცდილება. მას პოუზიის მსგავსად არ კითხულობენ. სწორედ ამიტომ, რთულია, ამ პროცესის მსუფულობას თანმიმდევრული ვუმოძოდო. ამჟამად, რომ ის უფრო მეტ თავიანულებას იძლევა.

ახლა რომ ვუფიქრებ, ძალიან მიკვირს, რომ იაეთი განსხვავებული ტიპის ნაწარმოებები, როგორებიც „მიდლმარში“ და „მოთადა ჯადოსნური მონადირეა“, ჩემთვის არც იაე ბევრი რამით განირჩეოდა ერთმანეთისგან. რა თქმა უნდა, ამგვარი დამოკიდებულება, დღეს მეტისმეტად არარეალურად ნეჩვენება.

რეალიზმი, გარკვეული აზრით, ისტორიული რეალიზმის ამსახველი მიმდინარეობაა. ის მკაფიოდ გახსაზღვრული პერიოდიოთა მემოფარგულურია. აღსანიშნავია, რომ იმ დროის პერსონაჟებს ერთნაირად აცვიათ, თითქმის იდენტურ კერძებს ბიორთმევენ, საზოგადოებაც ნათ მიმართ წინასწარ განსაზღვრული სეეებით მოქმედებს, გმირებს თავს დატყბილი წინაღობებით კი ერთმანეთის მსგავსია. ეს არის, ალბათ, იმია მიზეზი, თუ რატომ იძებს დროთა განმავლობაში წამდგოლი (ამ თეორიულად წამდგოლი) ამბავი იმას, რაც გამო-

გონილ ისტორიას ყოველთვის თაყიდანაწმენდებოდა. ის წელ-წელა არადანაწერებელი, ნაკლებარწმუნო ხდება. ხშირად შეიძლება ამ ყოფრას შემდეგი ვარიაციოთაც შეეხვედო: წარმოვიდგინოთ რაღაც ისეთი, რაც ჯერ არ მოხდებოდა. ეს ყველაფერი თავის მხრივ გონებაში აუცილებლად დაილექება (შეიძლება მოგლენა, რომელზეც ვფიქრობთ, მითოსური სამყაროს ნაწილიც იყოს, ძველი დროიდან იღებდეს სათავეს, მაგრამ ეს ჩვენს მტკიცებას ეჭვქვეშ ვერ დააყენებ, ვინაიდან იმ პერიოდის შესაბამე რაიმე ხელმასაჭიდი წყარო არ გაგვარჩია). რეალიზმი ჟანრის ნაწარმოებში მკითხველს შეუღამაზებლად მოუთხრობს მისთვის კარგად ნაცნობ რეალობას შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს ლიტერატურული ხერხი, მოუხედავად მისი სიფეხლია, საკმაოდ ორიგინალურია, რის გამოც მწერლები მას ხშირად მიმართავენ. ხანდახან აღნიშნული ამბები კარგ ხახიათზე აყენებს მკითხველს, თუმცა ისინი შეიძლება მწხარების გამომწვევ საგნადაც იქცენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრის ნაწარმოებებში პერსონაჟთა ენებზე და გადაუჭრელი პრობლემები წვენას ძალიან ჰგავს, მაინც არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. ის სამყარო, რომელშიც ეს ამბები ვითარდება, ან აღარ არსებობს, ან კიდევ მეტისმეტად უცნაურად გამოიყურება. ამჟამად, რომ ჩვენ ვერ მოვასხრებთ ამგვარ რეალობაში ცხოვრებას, ვინაიდან ის, რაც სინამდვილედ გვეჩვენებოდა, ახლა თითქმის წელ-წელა ნაკლებარწმუნო ხდება.

გამონაკლისი ამბავი ხშირად ჰმოთუვებს, ანდაც სიზმრისეულ რეალობას ეფუძნება. აქ იგულისხმება, რომ თუკი ნაწარმოებში მოვლენათა მავლელობა შეიცვლება, მაშინ შესაძლოა მთელი სიუჟეტი სრულიად სხვაგვარად წარიმართოს. ის, რისი დადასტურებაც წერილობითი წყაროს საშუალებით შეუძლებელია, ნაკლებად საინტერესოა ჩვენთვის. უფრო მეტად მოგვწონს, როცა ნაწარმოებში ისტორიული რეალობის ამსახველ ფაქტს ნაწინაგებით (მას, როგორც საკუთარს, ისე ვუყურებთ). ამგვარი პარალელები ჩვენს ყურადღებას იქცევს, რის გამოც ისინი საინტერესოდ გვეჩვენებიან.

რეალიზმის ჟანრის მწერლები ხშირად ამბავს, ანდაც ქმედებათა მავლელობას იმგვარად გადმოგვიცენ, რომ მკითხველი ყოველ ჯერზე განსხვავებულად განიცდის იმ მძლეარაღს, რასაც დასაბარულოან დაკაპირებული წინააფრინობა მოასწავებს. როგორი ფინალი ექნება ნაწარმოებზე? დაიხოცებიან თუ არა მთავარი გმირები? შეუცვარდებათ თუ არა მათ ერთმანეთი? ეს ის კითხვებია, რომლებიც ამხელს და, ამასთან, მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რაოდენ შეუაბამოა წიგნში აღწერილი რეალობა ჩვენს ცხოვრებასთან შედარებით. აუცილებელია გვესმოდეს, თუ რა დი-

1 ანერკიამი საკმაოდ მოპოვარულია „როგორ უნდა გაეხად“ სერიის წიგნები. იქ აღწერილია სხვადასხვა ცნობილი ადამიანის ცხოვრებისეული მომენტები. ავტორები ხშირად აღწერენ იმ წინაპირობებს, რაიც ამა თუ იმ პიროვნებას აქცევს აღიარება მოღვანე. აქ აწირედ ამ პერიის წიგნება გულისხმობს ავტორს.



დი მნიშვნელობის მატარებელია ის ატმოსფერო, რომელსაც ნაწარმოებში სასიყვარულო სცენა, ან-დაც სიკვდილი მოსდევს შედეგად. მას ხშირად გარდამტეხ მოვლენად არ აღვიქვამთ, თუმცა მისი როლი ნაწარმოებში განუზომელია. ჩვენ ვკითხულობთ, ვინაიდან გვაინტერესებს თუ როგორ დასრულდება ნაწარმოები, ვცდილობთ გამოვიცნოთ რა ბედი ელით პერსონაჟებს, თავს ვიმტყრევთ და ვიგერიებთ ამბის მსვლელობის სხვადასხვა დასაწყისს ვარაიციას, რომლებიც ამ დროს გონებაში გვეტრიალებს. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნამდვილად რეალისტურები არიან, ვინაიდან დასასრული ჩვენ არ გვეკუთვნის. მასზე გავლენის მოხდენა სცდება ადამიანის შესაძლებლობებს. ხშირად მკითხველი აღელვებული ელის დასასრულს, სურს იქ აღწერილი ამბავი სრულად შეიგრძნოს, თუმცა ამოდ. ამ დროს ჩვენში აღძრული განცდა ძალიან წაგავს იმ უმწიკვო მდგომარეობას, რომელშიც კაცობრიობა მთელი არსებობის განმავლობაში იმყოფება. ნაწარმოების დასასრული ნელ-ნელა დროით საბურველით ეხვევა, მისი სრულყოფილი ნაწილი ხდება, რის გამოც მკითხველს უნევს საკუთარი ფიქრების ფილოსოფიისკენ მიმართვა.

ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებისთვის განსხვავებული დასასრულია დამახასიათებელი. მათ დასაწყისი არ გააჩნიათ. თუკი მაინც გადავწყვეტთ საწყისი ნერტილის ძიებას, მაშინ შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ იგი მხოლოდ ერთადერთ მომენტში არსებობს, როცა შევთანხმდებით, რომ ის დამკვეთი, რომელსაც ნაწარმოები გვთავაზობს, მართებულია და ჩვენ მას, როგორც მოცემულობას

ისე მივიღებთ. ანთი ნაწარმოებები შეიძლება დროებით დასრულდეს, თუმცა ეს ყველაფერი მკითხველზეა დამოკიდებული. ის წყვეტს როდის დაიწყოს და დამთავრდეს რომანს. ეს ერთგვარი წრიული პროცესია, რომლის მსვლელობაც ყოველ ჯერზე მხოლოდ მცირედით იცვლება.


მკითხველი რთულად ამჩნევს, თუ რა განსხვავებაა ზემოთ აღწერილ ჟანრებს შორის. ამის მიზეზი ისაა, რომ დეტალები, ამ ორი ტიპის ამბავს ერთმანეთისგან რომ განარჩევა, უსასრულო მსგავსებათა მორევში იკარგება.

როგორ აღიქვამს ბავშვი ამა თუ იმ წიგნს? შეიძლება ვთქვათ, რომ ნაწარმოები მისთვის ერთგვარი საშუალებაა, რათა ესა თუ ის ამბავი მან მცირე ხნით გონებაში აცოცხლოს. ნებისმიერი წიგნი თითოეს მოსაწვევს წარმოადგენს, რომელიც ნაწერს ბავშვის ფიქრებისკენ უკვალავს გზას. ეს ერთგვარი საჩუქარია გონებისთვის. ის ისევე აღავსებს მას საინტერესო დეტალებით, როგორც ავეჯი ოთახს. რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს ესა თუ ის ამბავი ადამიანში, იგი მით უფრო საინტერესო და აღმორჩენითი აღსაქმე ხდება. ამკარაა, რომ ამგვარი დაკვირვებით ბავშვმა შეიძლება მრავალი უცხო დეტალი აღმოაჩინოს. პოეზიის კითხვისას საქმე სულ სხვაგვარადაა. როცა მას კითხულობთ, თქვენ აქ და ახლა განიცდით ყველაფერს. ამ დროს დამოუკიდებელი, თვითკმარი, ჭორფლიანი ადამიანი ხართ, რომელიც საკუთარ ფიქრებში ჩაფლული არსებობს. თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია...

რობერტ ბოიერსი

რეალობის გაკერებისა და ტანჯვის გარეშე

ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო ლიზა ძაგნიძემ



ნიუ იორკის შტატის საზაფხულო ინსტიტუტი მწერლებისთვის 1987 წლიდან ტარდება სკიდმორის კოლეჯში. სესიები ერთი თვე გრძელდება და უამრავი პერსპექტიული ახალგაზრდა, მონაწილე ყავას თუმცა ერთ-ერთი მათგანი გამოირჩევა როგორც გამოცდილებით, ისე პოპულარობით. საუბარია 2020 წლის ნობელის პრემიის ლაურეატ ლუიზ გლიკზე, რომელიც ბოლო 34 წლის განმავლობაში სესიების უცვლელი მონაწილეა. გლიკს სკიდმორის კოლეჯმა ჯერ კიდევ 1995 წელს მიაწია საპატიო ხარისხი. სწორედ ამ უნივერსიტეტის ლიტერატურის პროფესორი, რობერტ ბოიერსი არის მწერლების საზაფხულო ინსტიტუტის დამაარსებელი, დირექტორი და დღემდე აქტიური კურორტორი. იგი გლიკს იცნობს როგორც პოეტს და როგორც ენთუზიაზმით სავსე მწერალთა სკოლის მონაწილეს. რობერტ ბოიერსი ასევე პრესტიჟული ამერიკული ლიტერატურული ჟურნალის, „ხალმავუნდის“ რედაქტორია. ჟურნალში სტატიები გამოუქვეყნებიათ ისეთ გამოჩენილ მწერლებსა თუ კრიტიკოსებს, როგორებიც არიან მარია ვარგას ლიოსა, ჯ.მ. კუტზე, შეიმას პინი, ლუიზ გლიკი, სერ ისაია ბერლინი, ჯორჯ სტაინერი და ა.შ. ბოიერსი, ამასთან ერთად, ათი მონოგრაფიის ავტორი და არა ერთი ლიტერატურული კრებულის რედაქტორია.

ლუიზ გლიკის ლექსები პირველად 1966 წელს ნაკვეთი. ადრეული ლექსები იყო და მეც (ძალიან ახალგაზრდა კიყავი (1943 წელს დაბადებული გლიკიც ახალგაზრდა იყო ამ დროს). სამ თვეში ერთხელ მეგობრებთან ერთად ვუშვებდი ჟურნალს და ლექსები გლიკის მენტორის, სტენლი კუნციის წერილთან ერთად მივიღე. იგი გამოქვეყნებას დაეინებოთ მთხოვდა, თან აქებდა ლექსების „ინტენსიურობასა“ და „მტკიცე ხმას“. მისთვის გლიკის ლექსები არ იყო „აღმსარებ-

ლური“ ხასიათის და არც იმას ცდილობდა, რომელიმე ლიტერატურულ სკოლასთან ან წინამორბედ ესთეტიკურ ტრადიციასთან დაეკავშირებინა. ამჟამად, რომ, სტენლის აზრით, გლიკის ლექსებს შეეძლოთ დამოუკიდებლად წარმოეჩინათ თავი და ეს მათ მართლაც მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელ შემოქმედებაში გლიკი სრულიად განსხვავებული ტიპის პოეზიას წერდა - და, ამასთან ერთად, უნდობლობით მოიხსენიებდა 1968 წელს განაშვებულ პირველ

კრებულს სახელად „პირველმოხილი“ (სწორედ ამ კრებულშია ის ლექსები, რომლებიც „სალმან-გუნდში“ გამოცემულა) - არ მივირს, რომ ისეთი პოეტები, როგორებიც რობერტ ლოუელი და ბენ ბელიტი იყვნენ, ხშირად აღნიშნავდნენ, თუ რამდენად ბევრი ნიშნავდა მათთვის სწორედ ის ადრეული ლექსები, რომლებიც ჩვენი ჟურნალის გვერდებზე მოხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე გლიკის შემოქმედების მთავარი მახასიათებელი ინტენსიურობა იყო, მის ლექსებს ეპითეტების ფართო სპექტრი ერგება: „შიშისმომგერელი“, „უკიდურესად გულმთხრობილი“, „განდგომილი“, „გულმოდგინე“, „ფრთხილი“; და მაინც, ადრეული ლექსები, თავიანთი მოკლე სტრიქონებითა და ძალადობისა და ზიზღის დაბალანსებული ტონით, თავიდანვე და ახლაც მიმამნი, რომ ყველაფერი, გარდა თავშეკავებულისა და განდგომილისა. არ აქვს მნიშვნელობა მისი კარიერის რომელ ეტაპზე ვსაუბრობთ, ძალიან კომპლუზური გლიკის როგორც „ფრთხილის“ ან „განდგომილის“ წარმოჩენა. მაგალითად, ადრეული ლექსები ასეთი მშფოთვარე სტრიქონებით იწყება: „ზოგჯერ, დამით, ვფიქრობ, თუ როგორ ვაკეთებდი იმას / მე ჩაჭედებული ვიყავი მასში როგორც ფოლადი“ ან „დრო და დრო, დრო და დრო / ჩემს გულს ვაკრავ სანაღის ფიცარს / ბოლო ჩემი აწყობილი ყვირილი / ძლიერდება მის ხელთან ერთად“. ამა თუ იმ პოეტის რომელიმე, ხშირად ორას-როგანი სტრიქონის გაუთავებლად გამოკრება და დოგმად ქცევა უცნაური ანომალიაა, რომელსაც პოეზიის მოყვარულები ვხვდებით; ისეთივე უცნაური, როგორიც ეს ანონსირებული 2009 წლის ნიუ იორკ თაიშში გამოქვეყნებული რეცენზიონი: „მთელი ეს წლები... გლიკი წერს თავის გაცვეთილ და გამოფიტულ სტროფებს“; როგორც ჩანს, ამ დაკვირვების ავტორმა არ იცის, რა განსხვავებაა გაცვეთილობასა და უფუნქციო ორნამენტურობაზე პრინციპულად უარის თქმას შორის, შესაბამისად, ვერ შეამჩნია ის ამკარა სისრულე და ეფექტურობა, რაც ანთოლოგიებში შეტანილ გლიკის ლექსებში ხშირად გვხვდება. გამოფიტულობა? ეს ნამდვილად არ ეხება „უცვლელს“ (1985) ცნობილ ბოლო სტრიქონებს, რომელიც მაგალითად გამოდგება:

„და უცვლელს ყვავილის სურნელი / დახეტილობს ფანჯარაში / როგორ უნდა მოვისვენო? / როგორ უნდა ვიყო კმაყოფილი / როცა ახლაც არის / ეს სურნელი სამყაროში?“

ნამდვილად არაფერი გამოფიტული აქ არაა; შეკრძნობები ადვილად აგზნებადი, სტრიქონები სუფთა, თუმცა სწრაფი და მშფოთვარეა.

არც სიცივე და სიმორე იგრძნობა ლექსში „მეტამორფოზა“ (1985), რომლის მთხრობელიც

ბოლო სტრიქონებში მამის სარცელის თავზე მფრინავ „სიკვდილის ახგელობს“ აკვირდება:

„ცხოვრებაში პირველად შენი სხეული არ მშინებს / დრო და დრო, ხელს გისკამ სახეზე / ნაზად, მტერის ტილობავით / რა გამოცემას ატყდა? არ ვგრძნობ / ისეთ სიცივეს, რომლის ახსნაც არ შემძლია / შენს ლოყაზე, ჩემი ხელთილია / და სახსეა აღერსოთ“

მხგავსი სიმსუბუქე არ ახასიათებს ამ პოეტს, თუმცა მის შემოქმედებაში მაინც გვხვდება ასეთი აქცენტები, ისევე როგორც გვხვდება აკამატება, შიში და საკუთარ თავში ვეჭვანუტება. ამ პოეტში არაფერია გამოფიტული ან შებოჭილი, ის, რაც ნამდვილად შემოჭილია, სტანდარტული სტრიქონი და ამიტომაც სრულიად გაუგებარია, გლიკის რა ლიმიტაციებზე აკეთებს აქცენტს „ლონდონის წიგნების მიმოხილვა“. გლიკის ბოლოდროინდელი გამოცემა, „სოფლის ცხოვრება“ (2009), აერთიანებს მის ნაწარმოებს, რომლებში შესული ნაწარმოებებია და გვახსენებს, რომ იგი იყო არა მხოლოდ პროდუქტიული და მრავალმხრივი პოეტი, არამედ საოცრად მამაციც. მამაცი იმ გაგებით, რომ მან ლექსებში თანდათან გააფართოვა დიაპაზონი და ენობრივი გამოხატულობა. მართალია, გლიკი თავისი ბუნებრივი მდგომარეობა ფარგლებში მუშაობდა, თუმცა მუდამ ცდიდა საკუთარი ნიჭის საზღვრებზე, ისე, რომ მთლიანობაში ნაწარმოები არა შეზღუდულობდა, არამედ აბსოლუტური შემოქმედებითი სისრულისა და ცხოვრებისეული სიმდიდრის მთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც წესი, გლიკის ლექსები ყოველთვის მოძრაობს ძრწოლასა და სიცხადეს, სენსუალურ უშუალობასა და რეფლექსიას შორის. მან, როგორც პოეტმა, იპოვა რეალურ სამყაროსთან ურთიერთობის გზები და უარი თქვა რეალობის ალტერნატიულ განცდაზე. ისეთი პოეტის კვალობაზე, რომელიც ხშირად შეიძლება მიჩიერი და ჯიუტად უღელზოო ჩანდეს, იგი მთელი ინტენსივობით რეაგირებს ყოველდღიური პატარა სასწაულების ცდუნებებსა და უეცარ მოზღვავებულ ემოციებზე. ძნელად თუ ვიგვჩივთ მის შემოქმედებაზე, რომ ის არის რეალობაზე გამარჯვება, თუმცა მაინც, ლექსები ხშირად ჯიუტად არ ერგება რეალობასთან აპოკრიფულ სიმბოლიკას ან პირველ პირში გადმოცემულ თხრობას. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქმის გლიკი განაფული არ არის ყვავილების, ღმერთების, ადამიანების ან სხვა მრავალფეროვანი პერსონაჟების აღმწერაში. უფრო სწორი იქნება, რომ რეალობა გლიკისთვის არსებობს ერთდროულად როგორც უზნაძენტი და როგორც მამაროვოცნებელი სიმბოლე. იგი აღიარებს იმას, რაც მისთვის ისედაც უდავოდ ჭეშმარიტებაა - როგორიცაა სიკვდილის ან სიყვარულის დაკარ-

გვის ფაქტი - და, ამავდროულად, არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს უოლეს სტივენსისულ სულის აღქმას, რომ ის „რწმენის უბრალო შემოწმება“, რომელიც დიდი ხანია არაარსებითი გახდა. გლიკს აქვს დაპირებული სურვილი, დაიხასოს ყველაფერი ისე, როგორც რეალურად არის და თან ლექსებს იმგვარად ანყოფს, რომ ვიგრძნოთ, რამდენად ბევრი რამ რჩება უთქმელი. უმელოდ ერთგული გამჭვირვალობისა და სიბრძნისა, გლიკი სრულ აღქმას ქიმერად და სწორი გაგების დაბრკოლებად წარმოსახავს.

ეტაპების გამოყოფა მიღებული მიდგომა პოეტის შემოქმედების ანალიზისას. მიუხედავად ამისა, გლიკის განვითარების ტრექტორია ყოველივეს თავგზას უხედავს მის მკითხველებს, რომლებიც კონკრეტულ პერიოდში კონკრეტულ პროგრესს ელოდნენ, შედეგად კი შემოქმედებითი გადახვევები და ამოფრქვევები რწმუნდნენ. მართალია, თავისუფლად შეგვიძლია რობერტ ლეუელის შემოქმედების სახეის, შუა და გვიანი პერიოდებზე ლაპარაკი, თუმცა გლიკის შემთხვევაში მსგავს პრონოლოგიურ განვითარებას ვერ ვხედავთ. უმჯობესია ითქვას, რომ იგი დარჩა არავითარ აკვიატების ერთგული და საკუთარი თავის პაროდირება გვერდზე გადადო. „მიდოულენდის“ (1996) ბევრმა მკითხველმა აღნიშნა გლიკის ქვეუმახვილობა, მისი მიდრეკილება კომედიისა და ფარსისკენ. როგორც ამბობდნენ, კომედიისკენ შემობრუნებამ მასში გაათავისუფლა რძალაქ მოულოდნელი. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი პოეტი ანაქრონიზმებისადმი მიზიდულობას გაცივლიდა სტრიქონების უცნაურ, მხიარულ გადამგებაზე? და მაინც, გლიკი ხშირად ამბობდა: „ნება კომიკურ ნიქს, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა „აუდიტორიის წინაშე გამოსული ვამპირი“. რასაკვირველია, გლიკის კომედია იშვიათად თუ იყო ბამბალა; ძირითადად, ის უკავშირდებოდა უღიმღამო სიტუაციის აღწერისას ისეთი კეთილგანწყობილი ტერმინის გამოყენებას, როგორიცაა „ბედნიერება“ ან კიდევ მსგავს უხეშ შეპირისპირებას: „ერთადერთი შემთხვევა როცა ნამდვილად ბედნიერი ხარ / არის როცა ქათამს ქრი.“

თუმცა გლიკის კომიკურობა ასევე დაკავშირებულია მის ინტერესებთან და ენთუზიაზმთან, აესხნა და შეეჯამებინა ყველაფერი და, ამავდროულად, ეჭვი შეეცხანა საკუთარ ძალისხმევაში და სასაკულოდ წარმოედგინა ის. გლიკის მრავალი ლექსი ეხება მკაფიო განცხადებებსა და ანალიზს. ამკარაა, რომ იაინი აცხადებდა არაინა, რათა მიაღწიონ მტკიცებულებებს ან დასკვნებს და, საბოლოოდ, ძალიან გულწრფელი და თავდაჯერებული ტონი აქვთ. ალბათ, არ გაგმცინე-

ბათ „მიწიერი სიყვარულის“ (1999) ბეჭდულ სტროფზე:

„დროის პირობითობა / იჭერს მათ ერთად. / ეს იყო პერიოდი / (ძალიან ხანგრძლივი) რომლის დროსაც / გულს, ერთ დროს თავისუფლად / ოფიციალური ფესვით / წაართვეს თავისუფლება: ზიარება / რომელიც თან წინ მიდის და თან უიმედოდ კვდება“

კომიკურობა არაა ერთადერთი მახასიათებელი, რომელსაც გლიკის განვითარების რომელიმე ეტაპს მიაწერენ ხოლმე. ყოველი შემდეგი კრებულის გამოცემისას, მას ულოცავდნენ ძველი სტილის მოშორებას ან უფრო ღია მანერით წერას, უფრო პერსონალური ან უბრალო სტილით. სიმართლე რომ ითქვას, გლიკი მთელი თავისი შემოქმედების განმავლობაში მოძრაობს ამ მოცემულობებს შორის, დაუღალავად ცდილობს, ახალი ფორმა მიაგვს თავის პოეტიკას, მიმართავს ექსპერიმენტებს ენობრივ გამოცხადებაში, თავს უფლებას აძლევს აკრძალული რამ განაცხადოს ანდაც პირიქით, ადრე ნათქვამი უკან გამოიყვანოს, თუნდაც გაკომიკურების გზით. ლექსში „ციური მუსიკა“ (1990), მას შეუძლია ითქვას, რომ „ყოველთვის მონადინებულია წინააღმდეგობა გაუნოსი სიცოცხლისუნარიანობას“ და რომ, რაც არ უნდა „მშვედდა“ იყოს „სიკვდილთან და მარტოობასთან“, იგი მაინც მიიღო ტყის რათა „შეიყვაროს სამყარო“ და მოუხსინოს „ციურ მუსიკას“. არანაირი აზრი არ დევს ამ წინააღმდეგობრივ და დამატეველ ფრაზებში. გლიკის წანაწილებების მკითხველისთვის არანაირი აზრი არ აქვს იმის ფიქრს, რომ განწყობის არასტაბილურობა რომელიმე კონკრეტულ ეტაპს ეკუთვნის, ისევე როგორც სიკვდილისა და, ამავდროულად, სიცოცხლის სიყვარულის აკვიატება. გლიკის ყველა ლექსში იგრძნობა შემოქმედებითი შფოთი, ისეთ ლექსებშიც კი, რომლებიც თითქოს საიმედოდ დასრულებულეობა და არ საჭიროებს გადამხედვას. თითქოს ნებისმიერ კრებულში ამოიცნობს წაშლისა და გაცეკუების მაგალითები. სიტყვები ცურავენ ან გარბიან, შემდეგ მოძრაობას ანელებენ და სიარულს იწყებენ. თავისუფლება სტილში, თავის მხრივ, მერყეობას იწვევს. პოეტი, რომელსაც შეუძლია ერთ მომენტში სრულად ენდოს საკუთარ ენას იმის გადამოსაცემად, რაც სურს, მოულოდნელად უნდობელი ხდება იმ სიტყვებისა, რომლებსაც თვითონ იყენებს. ასეთი მონაცვლეობა მთავარი გლიკის პოეტური ადლისთვის და ვერ მივაკუთვნებთ მისი განვითარების რომელიმე განცალკევებულ ფაზას.

რასაკვირველია, ლოგიკური იქნება იმის თქმა, რომ ესა თუ ის კრებული შეიცავს რომელიმე ერთ მახასიათებელს უფრო მეტად ვიდრე მეო-

რეს: შეიძლება იყოს მეტაფორის უფრო ამკარა გამოყენება, მეტი მითოლოგია, აეტობიოგრაფიული მომენტების უფრო მეტად და თამამად ჩართვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი - ყველა დეტალის შეჯამებით - არის ის, რომ გლიკი ძალიან ხელგამწლია და არავითარ შემთხვევაში იმეოვნება ახირებებსა თუ ნესებს. მას შეუძლია სტარეოს უბრალო სილაბაზე და მაინც დაწეროს ზარიქიონები ამ სტილში. მისი დეტალები მონაცვლეობით არის თან მჭევრმეტყველო, თან ცივი, მრისხანე და თან მიმტვებელი. მან კარგად იცის ის, რასაც მერი ქინზი „გაყინულ ნებას“ უწოდებს. გლიკის შემოქმედებში ვგრძნობთ უცნაურ, ხანდახან თავგრუდამხვევ წინააღმდეგობას პირქუშობის მიქართ. მაშინაც კი, როდესაც იგი იწვევს უკიდურესი სევდის ან მწუხარების შეგრძნებებს, იგრძნობა სიცოცხლისადმი ლტოლვა, თუმცა ეს ლტოლვა არასოდეს აღინიშნავს ერთპიროვნულად იმას, რაც, ჩვეულებრივ, „სიცოცხლეში“ მოიაზრება. ეს დაძაბულობა მნიშვნელოვანი მომენტია გლიკის შემოქმედების სათანადოდ დაააფასებლად და უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე „გულწრფელობა“ ან „პირდაპირობა“.

და მაინც, არსებობს ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად სახასიათოა გლიკის შემოქმედებისთვის? პოპულარული კონსენსუსის მიხედვით, ის ნამდვილად არსებობს. უამრავი ახალგაზრდა აწერიკული პოეტი, ვისთვისაც გლიკი სამაგალითოა, ფერხობს, რომ არსებობს არარქთი, დიდი შთაგონების მომცემი ნაწარმოები, რომლებიც ხშირად ათოლოგიებიშიც გვხვდება. ასეთი ლექსები პირველივე სტრუქტურებში მკვეთრ და უღიზიულ მარტოობას აფერხებს, მაგალითად ლექსში „ეპითალამა“ (1980) ეკითხებით:

„სხეუმიც იყვნენ; მათი სხეულები / საშადა-
სი იყო. / ასე ვუყურებ ახლა, / როგორც ვოდ-
ბის ნაკადს. / ამდენი ტკივილი სამყაროში - უფორ-
მო / ტანჯვა სხეულის, რომლის ენაც / შიში-
ლია“.¹

ეს ლექსი გამოირჩევა მკაცრი ენობრივი გამომსახველობით და პირდაპირობით, თუმცა, ამასთანავე, მიანიშნებს რაღაც უფრო მეტზე, რისი თქმაც იდეაში შეიძლებოდა, მაგრამ უთქმელი დარჩა. ლექსი, რომელიც პირდაპირია, პოეტის რთულად მოპოვებული თავშეკავებული თხის შედეგია. მასში ჩანს, რომ ვერაფრის მოხმობილედ ტკივილისა და მარტოობის გამოსახაწვრილად. ცხოვრება ის არაა, რაც გვინდა. რაც ყველაზე მეტად გვჭირდება, გულწრფელობაა. გულწრფელი ლექსი გვიზიდავს, რადგან შედუმტს არ იძახის და თან აბერებს, გვაგანობინებს ზომიერი იმედგაცრუება. აღსანიშნავია მი-

სა რელიზიშიც, თუ ის არასასაქონლო ინტერესებს
ბის გაკეთებას გულისხმობს. ლექსში „ეპითალ-
მა“ არ გვხვდება იმ საზოგადო გამოქმენდებ-
ბა, რომელიც გლიკის შემოქმედებაში ზოგჯერ
გვხვდება ხოლმე (აქ არ გვაქვს არავითარი პო-
მიდორი, რომელიც „წითელკიტოვად აფარებუ-
ლი დეფორმირებული ადამიანის ტვინს ჰგავს“),
თუმცა ნამდვილად იგრძნობა ის ცუდი დასას-
რულო, რომელიც ყოველ ახალ სანყის მოსდევს
ბოლოს, ის არის დაუნდობელი და თვითმყო-
ფილებას რკინასავით წინააღმდეგობას უწევს

ესეების წიგნში, „სამძილეები და თეორიები“ (1994), გლიცი ერთმანეთს უპირისპირებს ორი ტიპის ლექსს: პირველი, რომელიც აცოცხლებს „უფსკრულის შეგარნებას“ კითხვისას, ხოლო მეორე გვახსენებს „ფანჯრების ქვემოთ დადებული ლექსი“. რას იზამდა გლიცი ლექიბის გარეშე? ის ხომ ყოველთვის სიფრთხილით გადადიოდა რაფაზე, რომლის ქვემოთაც ან ერთი უფსკრული იყო, ან მეორე? გლიცის ესა თუ ის ლექსი გვაფიქრებს იმ უსაფრთხოების ბადეებზე, რომლებსაც პოეტი ან უარყოფს, ან იღებს. გზაზე ხოთ ლექსი „პირილი“ კრებულიდან „ველური ზამბახი“ (1992):

„არავის სასოწარკვეთა არ ჰვავს ჩემსას/შენი ადვილი არაა ამ ბაღში / როცა ასეთ რამეზე ფიქრობ, ქმნი / დამღლეულ სურათებს: კაცი / ფარცავს მთლიან ტყეს / ქალი კოჭლებს, არ იცნავს ტანისამოსს / და არ იბანს მთხვს / შენ გკონია მაინტერესებს / ერთმანეთს დაელაპარაკები თუ არა? / მაგრამ მინდა იცოდე, რომ / უკეთესს ყვლიდი ორი ქმნილებისგან / რომ-ლებსაც აზროვნების უნარი მისცეს / და თუ არა / ვიფიქრე ერთმანეთი რეალურად გაინტერესებდათ / იმას მაინც გაიცდიდით / რომ მწუხარება გადანიჭილებულია / შენსა და, ყველა შენნაირთან ერთად, ჩემს შორის“.

აქ აღსანიშნავია მომენტები, რომლებიც თითქმის ჩვეულებრივი ადამიანის გამოხატუებებს: შავს და, ამასთან ერთად, ლექსის დაძაბუებულ დინამიკა მნიშვნელოვანი. გოკი დიდნი ხანია ამ ფორმას იყენებს, რომელიც მისი დაძაბული და ექსპერიმენტული მიდგომისთვისაა დამახასიათებელი; დამახასიათებელია მისი მოთხრობითი ბისთვის, გეგმა სწვევს ნიშნებს და ან რამე დააძალოს, ან ნააქვზოს, ანდაც გონზე მოიყვანოს. თუმცა ის, რაც ყველაზე მეტად ახასიათებს „კამრილს“, არაა მაინცდამაინც უშუალოდ დილაოც სხვათთან (ან საკუთარ ალტერ ეგოსთან), არამედ დაპირისპირებით და განხეთქილებით დამსჯელი ტაქტიკა, რომელიც იგრძნობა ზეწოლა, საყვედურისა და რეაგირების იძულება. ასეთი თანებურობი ინტენსივობას, როგორც წესი, ელკა-

¹ იხ. „არჩილის“ დღევანდელ ნომერში ამ და სხვა სტრუქტურების მანანა მათიაშვილისეული თარგმანი/3 (რედ. შენიშვნა).

შირებით ხოლმე შინაგან დიალოგს, რომლის დროსაც მთხრობელი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება და ცდილობს წინასწარობისა და მარშრუტის მიღწევას ჯიუტად გაეცეს.

ლექსში „აპრილი“ გადამწყვეტი შეგონება ზემოდა მოდის, ღმერთის მსგავსი ფიგურისგან, რომლის ხმა უჩვეულოდ სარწმუნო ხმაა. მართალია, ეს მომენტი მხოლოდ ამ კონკრეტულ ლექსში არ გვხვდება, თუმცა, როგორც ნესი, გლიკოს მთხრობელები ყოველთვის არ არიან დაჯილდოებულინი სარწმუნო, ავტორიტეტული ხმით. თუმცა, სხვა მრავალი ხმა, რომელთაც პოეტი მოიხმობს ლექსებში, ყოველთვის გვახსენებს და გვამოუბრებს მთხრობელის იდენტობას ჩავეძიოთ. სხვადასხვა ხმის არეულ-დარეულად გამოყენება გლიკოს ლექსების გამჭვირვალე იარაღია - თითოეული პერსონა განასახიერებს შინაგან პიროვნულ განხეთქილებას და მის რომელიმე ასპექტს. ღმერთი ლექსში „აპრილი“ შეიძლება იყოს გატარებული მშობელი, რომელიც ისეთი საყვირით სავსე ტონით ლაპარაკობს, როგორცაა გლიკი თავის მამაცაქ მთხრობელებს არაგბს ბოლმე, მაგალითად, ბრაზით სახვე ქმარს.

ლექსში „ცხენი“ (1985), მაგალითად, „ქმარი“ თავს ესხმის „ცოლს“ და აბრალებს, რომ ის უფიქლოა („მე ხედავ / შენს სხეულში ბავშვი არაა“) ხოლო ქალს მხოლოდ ის უნდა, რომ „ამ ცხოვრებიდან გასასვლელი“ იპოვოს. ეს საყვირული მკითხველისთვის განსაკუთრებით მწველია, რადგან მასში საკუთარი თავის სიძულვილის ატმოსფერო იგრძნობა. ალბათ, სხვა არც ერთი პოეტი არ ყოფილა ასეთი მოხერხებული საკუთარ თავში ეჭვის შეტანისა და დასჯის გზების გაკვალვაში.

ისეთ პოეტზე საუბრისას, რომელმაც პოეზიას მკითხველებისთვის ათობით საყვარელი და აღმოფხვრიანებული ნამუშევარი შექმნა, უადვილოა არ იქნება კონკრეტული ლექსების განხილვა. და მაინც, როგორც ლინდა გრეგერსონი ჰალიან მართებულად აღნიშნავს, ლექსები კრებულში „ველური ზამბახი“, როგორც იქნა, „არის განუყოფელი: ეს წიგნი ერთიანი მდიდარია, რომელიც ბევრად აღემატება მის ცალკეულ ნაწილებს“. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ტომებში თავმოყრილ ლექსებზეც, როდესაც „აპრილი“ ღმერთის ხმაზე ვლაპარაკობთ, მკითხველს უჩნდება საუბრის, იფიქროს იმაზე, თუ როგორ ხდება ამ ხმის გაყვანება კრებულის სხვა ლექსებში, თუმცა, ამავედროულად, შეიძლება ვიფიქროთ იმ ეჭვებზეც, ამ პარალელუბზე, რომელიც საერთოდ სხვა ლექსების სტრიქონებში

შეიძლება აღმოვაჩინოთ. თუ ვგეგმა შევქმნი, როგორც გრეგერსონი ამტკიცებს, „ერთიანი მდიდარია“, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ არც ერთი ნაწარმოები ან ლექსი არ განსხვავდება ერთმანეთისგან. როცა საქმე დიდ პოეტს ეხება, შეუძლებელია რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების აღქმა სრული შემოქმედების გაცნობის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრებულში „სოფლის ცხოვრება“ გლიკი საკუთარ თავს უფლებას აძლევს „ილაქლაქოს“ და ისტორიები მოყვას. ამით კი საკუთარ თავში ათავისუფლებს „მოთხრობების ჟანრის მწერალს, რომელიც გამოიწინას ლამოზს“ და რომელსაც ჩახშულად, მაგრამ მაინც აქვს „მეტყველების რწმენა“. ცხადია, გლიკის ნდობით სავსე დამოკიდებულება მეტყველების მიმართ ბევრგან იგრძნობა, ხმაშიც და ისტორიაშიც, რომელსაც იგი ლექსებში ყვება, თუმცა ნარატივი, როგორც წესი, მაინც ფრაგმენტული, უხრული და ბუნდოვანად წარმოიქმნება. არ არსებობს გზა, პოეტის ბოლო კრებულის ნარატივება ფხვდაფხვს მიყვებით, ჩართულები ვიყოთ მათ განვითარებასა და წინააღმდეგობებში, თუ მათ არ დავეკავშირებთ წინა კრებულების მეტყველებასა და ნარატივებს. რატომაც არა? მიუხედავად ყველა რადიკალური სტილიდან გადახვევისა თავისი განვითარების გზაზე, გლიკი წერს ერთიანი პოეტური მგრძნობელობით და მისი ყოველი ლექსი გარკვეულწილად სხვა ლექსის გარიაცაია. ის ინტენსიური მთხრობელია, რომელსაც ბოლო კრებულში ვხვდებით, სხვა არავფერია თუ არა პასუხი ადრეული კრებულების პასიურ ნარატივებსა და მიხიბლისტურ ალუზიებზე. ასე რომ, შეუძლებელია ვიფიქროთ „სოფლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბებზე ისეთი ნახევრადმოთხრობილ ნარატივების გარეშე, რომლებიც უფრო ადრეულ კრებულ „მიდოულენდსში“ გვხვდება.

თუმცა ამ აქცენტს ცნებაზე „ერთიანი მდიდარია“, რომელიც ბევრად აღემატება შემოქმედების ცალკეულ ნაწილებს“, ასევე მივყავართ იმ საყურადღებო დაკვირვებაშიც, რომ ყველაფრის საფუძველი, რაც გლიკს შეუქმნია და რაც მოიცავს თითოეულ კრებულსა თუ ლექსს, შეიძლება აღვიქვათ, როგორც რეალბოასთან მორიგება, ის რასაც შეგელი „პროზაულობის ხანას“ უწოდებს. დაეკვირვებთ იმ ახირებულ აქცენტებს, რომლებიც ხშირად კონტრასტულად გასდევს ან დომინირებს გლიკოს ლექსებზე; აქცენტები, რომლებიც განსაკუთრებით იგრძნობა კრებულში „მიდოულენდს“, მაგრამ ცდებია მის ფარგლებსაც. მაგალითად ამაჰა დაგვიხსენებდეთ: „ორი რამის გაკეთება მინდა: / მინდა ხორცი მე-ვსუკეთო ღობელიდან / და მინდა წვეულებ-

ბა მოვანყო". ან ამას: „შენ გეზიზღება წვეულებები. შენ გეზიზღება / ყველა წრე, რომელშიც ოთხზე მეტი კაცია“. პროზაულობის ხანაა, არა? პოეტისთვის, როგორც ჩანს, საკმარისია ეს ნაკლებად დაძაპრებული პოეტი აღწეროს სამუალებები, რაც, რილკეს აზრით, რაიმეს „გაფუჭება და უაზრო კაპრიზია“. გლიკი კმაყოფილია ყოველდღიური და ამქვეყნიური ენობრივი გამოხატულებით. იგი პრეტენზიის გარეშე იღებს არაფრით გამოჩენულ ხმებს, რომლებიც მინიერ გავგებრობებზე, ოჯახურ უთანხმოებებზე ყვებიან. ესაა ხელაღებული ორატორული ხელისაყვება და ხოტბა, რომელიც ბევრად ნაკლებით კმაყოფილებს. „ბაზრის დღეს, მე მივდივარ ბაზარზე ჩემ სალათის ფურცლებთან ერთად“ - ასე ასრულებს გლიკი კრებულს. თითქოს აღარაფერია მეტი სათქმელი. თითქოს პოეტი დაღალა თავისი არეულობითა და იმ მშფოთვარებით, რაც ახასიათებს დიდ ფიქრებში ჩადირულ ცხოვრებას, ხოლო ეს ფიქრები მეტისმეტად მოუხელთებელი, რთული და, ბოლოს და ბოლოს, უადგილო ხდება. რჩება სალათის ფურცლები და კაპრიზი.

თუმცა ასეთი პოეტისთვის დაწებების ცნება აბსურდულია. გლიკის წერილმანი, დიდი მნიშვნელობის არმქონე სტრიქონებიც კი რაიმე ისეთს გადმოგვცემს, რასაც შეგვიძლია სავარაუდო ახსნა მოვუძებნოთ, ისევე როგორსაც ჩვენი ცხოვრების იდუმალების გამგებანებისა და მოვიფიქრებდით. ყოველდღიურობის რუტინაში გადავარდნა არაა პატარა საქმე. ზოგი, გლიკი ერთ-ერთ ლექსში, მოსაღამოების დროს ფანჯარასთან ზის. მეტი არაფერი. გარდა იმისა, რომ გარეთ „ბაღალა ოდნავ შრიალებს“ და „შთა შუქურასავით დგას“. ყველაფერი ისეა მოცემული, როგორც რეალურადაა - ღამის ხაცნობი ჭედრადობები. მხოლოდ ჩვენ ვნდებთ იმას, რომ არსებობს „ნიშნები“, რომ „ღამე ღია წიგნია“. პროზაულობის ეპოქა, ჩვეულებრიობის ხანა, არასოდეს ყოფილა ისეთი პერსპექტიული, ნაყოფიერი ან საზარელი, როგორც ეს ამ პოეტის სტრიქონებშია, რომელშიც იცის, როგორ უნდა გადააქციოს აღტაცება ჩვეულებრივ მოვლენად. გლიკის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობა ლტოლვა, რომელიც იმაზე მეტია, ვიდრე კარგი საქმლის, სამილისა თუ უნაკლო სალათის ფურცლების ქონის სურვილი. ისეთ ლექსებში, რომლებიც შეკაზმულია მხიარული ან გასლანის ენა-მხატვრობით, აშკარაა, რომ პოეტი თავის სტილში და წარმომსახველობაში არ იზიარებს ტ.ს. ელიოტისეულ „რამდენიმე, მწირ, თვითნებურად შერჩეულ მყისიერ ჩანახატს“ ან „გენიანი მომენტების გაცეცხილ სვენიერებს“.

რატომ ვერ იზიარებს? უნდა ითქვას, რომ შფოთვა ცენტრალური მომენტია გლიკის შე-

მოქმედებაში. შფოთი, რომელიც გლიკის შემოქმედებაში უპირისპირებს, თან ისეთი ტენიონია, რომელიც ადვილი აღსაქმელი არაა. მაგალითად, ლობელის ხორცის ძაღაზიამი ნასვლას მოვლენა რეალურადაა იმაზე, რომ „ერთ ღამესაც სიყვარული / გაიმარჯვებს ვენებაზე“, ხოლო „არაან თუ არა / სტუმრები კმაყოფილები“ ასე გრძელდება: „არაან თუ არა ისინი ცოცხლები“. არაფერი კანონზომიერი არაა ამ შეპირიანებებში; არაფერი, გარდა პოეტის ირონიის ნიჭისა და დაქინებისა, რომ ცხოვრება ისეთი არაა, როგორსაც პრუსტი მიიჩნევდა: „არაფრით გამორჩეული, შემთხვევითი, მოკედავი“. შფოთის მომენტის გლიკის შემოქმედებაში ხშირად უკავშირდება პოეტის არამდგრადობას. მისი სახასიათო ხნა ეკუთვნის ვინმე ხანდაზმულს და, ამავდროულად, ჯერ არმობილ ადამიანს, რომელიც თან სასონარკვეთილია ამ სამყაროში ცხოვრებითა და თან ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია ამ გამოცდილებით. შფოთი თუთუდ შესაძრწევია უშუალოდ და მოწვევითაა მონაცვლეობაში, ჩვეულებრივადან („ძალიან ძელოდება დერეფანში“) ამაღლებულადმდე („გმობარბო სიბნელის თითქმის ეს ჩემთვის ბუფერული იყოს / თითქმის მისი ნაწილი ვიყო“) უზუგ გადახვევაში. ხშირი მოსაზრების საპირისპიროდ, გლიკი არ ეყრდნობა მითებს, ბერძნულ ან სხვა კულტურას, „რათა თავის ცხოვრებას ეხელ მოვლენებს უფრო დიდა მნიშვნელობა მიანიჭოს“. იგი იყენებს მითოლოგიას არა იმისთვის, რომ „ახსნას“ საკუთარი გასაფიქრი (ან ჩვენი), არამედ იმიტომ, რომ გააფიქროს ტრადიციისგან მემკვიდრეობით მიღებული პოეტური ხმა. „იგი წერს“ როგორც ჩარლზ სიმისი აღნიშნავს, „ისეთი ენობრივი გამოხატულებით, რომელიც ლიტერატურასავით ძველია“, და მაინც იგი ისე წერს, თითქოს მითები, რომლებიცაა იყენებს, თავისი კუთვნილება - თითქოს არავის გამოეყენებინა ეს სიტყვები ან მითები ასე ფუნქციურად აქამდე.

გლიკის ლექსების კითხვისას მწელია არ იფიქრო, რომ ისინი, როგორც რ.პ. ბლექსური იტყობა, „გონების დინამიკის ისტორიაა, რასაც იეიტსი სულის ისტორიას ეძახდა“. და მაინც - კიდევ ერთხელ თუ განვმეორდები - გლიკის ლექსები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ძალიან თავისებური და პრობლემატური პოეტულების გა-მოხატულება; პოეტისა, რომელიც მზადაა ჩაწვდეს საკუთარი გამოცდილების ფსკერს „რეალობის“ გაკერებისა და ტანჯვის გარეშე. ისევე როგორც სხვა დიდ პოეტებთან, გლიკი არ სწყალობს პერიფრაზას. მისი ლექსები საუკეთესოდ განასახიერებს არა მარტო მდინარეებდნად წესრიგად მომართობას, არამედ მძვინვარებას წარმოაჩენს, როგორც „ჭეშმარიტებას“, რომელსაც ვერანაირი ნესრობი ვერ მოერგება.

ლია სტურუა

ზაფხულის ლექსები



ჩემი დრო

ჯიხედები წყალში, სადღაა
ჭაში ჩავარდნილი ვარსკვლავების კლასიკა?
შეგამოტრიალებული ქვეყანა ჩანს - მკედარი
პოეტების სამშობლო.

რეინკარნაცია არ გამოუვიდათ -
რუსთაველზე ქადრები მოჭრეს,
აქ უყვარდათ დგომა,
90-იანებში ფარნებივით ანათებდნენ.
მერე იმდენი სინათლე გაჩნდა;
თვალეებს ქრდა: ქუჩის, რესტორნების,
რეკლამის, ლექსი კი აღარ გამოდიოდა.
რა ექნათ?
ტრაქტატები ეწერათ ზნეობაზე?
ჟოღაც ცაში ავიდა,
ჟოღაც ქაში ჩაიღვარა,
ჭერი და ფსკერი გაგიკეთეს შენ,
რომელიც საულ სწორ ხაზზე დადიხარ,
რომ, შიგადაშიგ, გვერდზე გაიხედო,
ჯინზე დაინახო, შეიყვართ,
ან შეიბრალოთ ერთმანეთი,
ან შეიძულოთ, ან ფეხებზე დაიკიდოთ -
უკვე ამბავი, სიტყვა ჭირს
ეს ქვეყანა განუზოროცილებელი პოეტებისა...

სადა ზღვა?

ცხელი ზაფხული, ფანჯრები
ზღვითაა საესე. ვიტყუები,
სადა ზღვა? ცხრა მთას იქით:
გამოგონილი მთა
უფრო ძნელი გადასალახია,
ვიდრე რეალური:
სიტყვა „მწვერვალი“ რომ დამარცვლო,
ფლერს, ისმის, თუ არა და
ყინულით გამოიხედავს,
„ქეა“ უფრო დახმული სიტყვაა,

თუ ვერ მიხვდი, სად სახე აქვს,
სად კეფა, ფეხებში გაგეჩნირება...
მაინც, რა ვუყო ზღვისა?
ზაფხულია, ლურჯ ფერს შემოუშვებ
სახლში, მოჯახუნებულ კარებში თუ მოყვა,
არაფერი არ ეტკინება, არ დააჩნდება,
საერთოდაც, ჯინსის ნაჭერს დაემგვანება,
თინეიჯერები გაქსანავენ აქეთ-იქით,
მუილებთან გაესხვება, ზუსტად ისე,
როგორც საჭიროა,
მომხმარებელური აიყვარულით გაკეცავენ,
მერე ისევ გაიშლება და ზღვა იქნება
და დამესიზმრება, რომ ცხელი ზაფხულია,
ფანჯრები ზღვითაა საესე,
მაგრამ ვიტყუები, სადაა ზღვა?

გადასახლება

როგორ ვიყვარდა ეს საბლი!
მაგიდასთან დამჯდარი არ იყავი,
წერა გინდოდა.
პეიზაჟები ქალაქში სადაა
და ბუნების კარიდან დამახაოვრებულს
ფანჯარაზე აკრავდი,
მემდეგ ფურცლამდე
უკვე წინა გენატრებოდა...
ჩქარა მატარებელში რატომ გადაგსვეს
ასე ადრე, რომლის ფანჯრებში
არც ერთი მზე ან ქადარი არ ირეკლება?
ბოლო გაჩერება -
საწოლის უკაცრიელი კუნძული...
მაგიდასთან რომ იჯდე და წერო,
დროს უნდა უვყარდე,
თუ არა და, მკედარი ვერ იტყუება,
პროზექტურა ბოლო სიმართლეა.
რომელიმე ლექსისთვის რომ
წერტილი დაგესვა, ღმერთს დაინახავდი,
მაგრამ ეს გაუთავებელი მრავალწერტილი -

კანონიერი პუნქტუაცია,
თუ უკონტროლო შიში?

თუ კიდევ უფრო უკონტროლო იმედი,
რომ შენთან ვაშლის ბაღს დაგახვედრებენ
და თუ იქ არაფერია, არაფერი და არაფერი?

ივლისი

სხილოს ძელის კოჭი
განვადებით არ იყიდება.
ან მთელი წერეები უნდა დახარჯო
და კიდევ რაღაც კამიკები
ან იმდენი ფული, რამდენიც არ გაქვს,
მაშინ უფრო კომფორტული იქნება,
დაგავინყვებს,
მარტო თითონ კრიალისთვის გინდოდა,
თუ სიტყვებთან ინტექტური ურთიერთობისთვის:
ამ შემთხვევაში. ღამეს გვერდებს ჩამოატყავ -
და გათენებასათვის წყნარი ხელებით
ინყებ წერას: თხრობა, ტექსტი, ნარატივი...
ლექსი თუ გინდა, დღეს უნდა დავიწყო,
ივლისი იყოს, მზემ სიცივე წავისვას
სახზე, ხელისგულზე - თაფლიანი პური
შვილებისთვის - ნორმალური მზრუნველობა.
თავგანწირვა სხვა რამეა,
სიტყვა „ნორმალურს“ ვერ იხდენს,
მაგრამ იგივე ივლისმა რომ თავი აგხადოს,
და შივ მზესუშპირები ჩაგიტყნოს,
ამის ქალაქზე გადატანა,
ყველა წერვის მონანილობით,
უკვე სხვებისთვისა და მათი შვილებისთვის,
რომლებიც კითხვის ნიშნებით
ცნობისმოყვარე და მრგვალი თავებით
შეშვრილი არიან სინათლის ზმნას.

რეფრენი

ისეთი დღეა, სარკეში რომ ჩაიხედო,
ერთად გავდნებით, მაკიაჟის იდეა
იფრიალებს პაერში ნითლად...
ნითელი, ცხელი ეპითეტები იმისი,
რაც მთავარია, მაგრამ არ ჩანს,
მუდმივია, მაგრამ მთლად ასეც არ არის,
შეიძლება მოკვდეს. ჩემი ბრაღია,
რეფრენში უნდა ჩამეგდო
და ყველა ლექსში სამ-სამჯერ, მაინც,
მემორებინა, რომ მიყვარს და ცეცხლს ვჭამ
და ალისფერი ტყუილი ამომდის პირიდან,
თუნდაც, უხერხული გარემოს გასატყნად.
ალისფერია და სასტიკია,
ალისფერია და ეპატიება,
რომ „მარტო ვარ, ე.ი. ვარსებობ!“
ციტირება? პლაგიატი? რა მნიშვნელობა აქვს?
თარგია უკვდავი: „მწერ, ე.ი. „მტკიცია, ე.ი“...
ვარიაციები ყოფილი ცეცხლის თემაზე,
იმდენი აღარ არის, რომ ვჭამო
და პირით ვანათო,
ლექსის რეფრენში ჩავაგდებ,
იმეორნ და იმეორნ პოეზიის მოყვარულემას!
არც გარემოს განათება ჩემი ფუნქცია,
მაგრამ დავიღალე არსებითი სახელებით,
ზმნა კი ალისფერია და ლექსს უხდება...

თითქმის, სამშობლოზე

მოექცეო ხეს, ქვას, უკანასკნელ ბაღასს,
ოღონდ, მინიდან არ გადავარდე!
როცა ზემოდან გიყურებენ
შემაწუნებლად იდეალურები.
ცოცხლებს კიდევ დამალვები,
ციდან მეთვალყურეებს - ვერსად.
ვარსკვლავიან ცაზე კი ფიქრობ,
ნათესაების და მათი ნათესავების
ბატალიაზე არა, მით უფრო, თუ
საჩვენებელი თითები
შენკენ აქვთ მოშვებული:
- აი, როგორი არ უნდა იყოთ!
ეუბნებიან ბავშვებს, რომლებსაც ასწავლი,
რომ ცაში კომუნალური ბინები არ არსებობს,
ზამბახზე სწორების იისფერ ნესებს,
თვითონ რასაც ემორჩილები,
საფიქრის კარი ღიაა...
ერთი მოტივი ამბობდა:
- მზე სიყვარულით კლავს!
მეორე - ჩემი პრემია მთვარეს მიეცითო!
მინაზე იდგნენ და ცას უყურებდნენ,
იქიდან მეთვალყურეობა მათი საქმე არაა,
არც მერი, როცა შეგიძლია მზის დარტყმა
თავში, მხატვრისგან აიღო,
გაცვეთილი კანის გამო,
პირდაპირ სისხლმარდებებით წერო,
მოექცეო ხეს, ქვას, უკანასკნელ ბაღასს,
ოღონდ, მინიდან არ გადავარდე...

„ნარნარა“ თანხმობენ

ძალიანაც ნუ ავიყვავებდა ფიქრი!
მართლა გჯერა, რომ ბაღებში ვიფრიალებთ
და მაერს ვაშლის სუნი ექნება?
მორჩა ვაშლამდელი გულშეგრძელობა!
შენს ფოტოს ვუყურებ:
რა კატარაქტა, რის მიწის შვიდი?
როცა ვხედავ აშკარა ცხენს,
შუბლში რომ გყავდა ჩამონტაჟებული!
მე არა და ის ნაიყვანე,
მაინც ბრინჯაოსა, უკვდავია
უკვდავები მინამიც ფიქრობენ?
მაგ. უნაკლო ფორმაზე?
(საუკეთესო ნიმუში - ვაშლი),
რომელმაც რენესანსი გამოიარა,
შინაარსი დაჭრა, სევდა მოემატა,
შინაარსი უფრო ქალღმისაა,
მაგრამ რა შემოიღია მარტო
სევდიანი ადამიანობით ან ფილოლოგობით?
ხმოვნების ლიაობაში
რამდენიმე თანხმობანი შევუშვა:
მწრლ, მწრლ - მანერული გრამატიკისთვის,
აბსოლუტური ყურისთვის - მშობლიური -
ზავ-თეთრი კანონიერების გადახრა სიჭრელისკენ,
გზაბნეული ნაპერკელები იმ დროიდან,
სახლში რომ ვიჯექი
და ცეცხლი ორდობებში დარბოდა,
რასაც ქალაქის ქუჩებშიც აგრძელებს,
ოღონდ, ცვალებადი წარმატებით...

ნინო ჩერქეზიშვილი

ღვინის დედა



ჩემი ბავშვობა საბჭოთა კავშირის პერიოდს დაემთხვა. ამბობდნენ, უცხოური ბავშვი ვიყავი. უცნაურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი ზნე კი ნამდვილად მქირდა. დავინახავდი თუ არა ისეთ რამეს, რასაც საბჭოთა ელფერი დაჰკრავდა და საბჭოთა სიმბოლიკით იყო შემკული, მაგალითად პიონერთა ოთახს, ლენინის ბიუსტს, საბჭოთა ინტერიერებსა თუ ექსტერიერებს, რასაც ძალზე უნავდ შეხედვდოდით ყველგან, ან პიონერულ-კომკავშირულ სიმღერებს მოვისმენდი, ასე მონდომებით რომ ასრულებდა მაშინდელი ახალგაზრდობა, მაშინვე გულისრევის საშინელი შეგრძნება შენყებოდა და დეპრესიაში გვარდებოდი, ოღონდ, ჩემდა საბედნიეროდ, ეს განცდა ორიოდ წუთს გრძელდებოდა, მერე ისევ ისეთივე ჩაღისიანი ბავშვი ვხდებოდი, როგორც მანამდე. საერთოდ კი, როცა კიდევ უფრო ნაშთი ვიზარდე, ძალიან მტანჯავდა ის ერთფეროვანი და მოსაწყვენი ცხოვრების სტილი, რომლითაც ამ ქვეყნის 95 პროცენტი ცხოვრობდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი და ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეს, უბ-

რალოდ, ქვეცნობიერის ის უსაბოვნო შეგრძნება იყო, რაც გულისრევის ფიზიკურ რეაქციას იწვევდა ჩემში. ვერ ვხვდებოდი, რადგან ამ ჩაბნელებული საბჭოთა ყოფის გარდა, სხვანაირი ცხოვრება არ მენახა. აი, ნია კი ნამდვილად გამოჩნდა იყო ჩემს ცხოვრებაში. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ადამიანად მიმაჩნდა, გამიჯნული მაშინდელ უღიმღამო და ერთფეროვან ცხოვრებას. მის სახლში და, ზოგადად, მის ყოფაში ყველაფერს არასაბჭოთა იერი დაჰკრავდა. არადა, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა ყოფილიყო, ნია სწორედ ტრადიციულ საბჭოთა ოჯახში გაზრდილი დაბადებული და აღზრდილი. მისი წინაპრები, მაშაშისიც და პაპაშისიც, პირისისლიანი ბოლშევიკები იყვნენ. მაგრამ ეგ არაფერი, თვითონ ნია ნამდვილი არისტოკრატი იყო და ჭირი დაღვსილი სძულდა ის ავადსახსენებელი კომუნისტები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე 43 წლით უფროსი იყო, მთელი ცხოვრება ერთგულ მეგობრად და დიდ ხუტკად მიმაჩნდა. იშვიათად შეხვდებოდა ერთი ნათელი გონების ადამი-



ანს. ბავშვობიდანვე მიეცემდნენ მას, დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებდა მასთან ურთიერთობა და დიდი გავლენაც მოახდინა მოგვიანებით ჩემს ჩამოყალიბებაზე. ერთგვარად ვიხსენებ, მშობარა, ნაცრისფერი მასიდან გამოსული ეს უცნაური ქალი უზუსტესად და უფაქიზესად აღიქვამდა იმ თავზარდაშენებულ გაუცხოებარ სამყაროს უბედურებას, რომელშიც ცხოვრობდა და რომელიც თითქოს ძალიან ორგანოდ უნდა ყოფილიყო მისი მდგომარეობის ქალისთვის; პროვინსიაც უცნაური ჰქონდა - მეღვინე იყო და ღვინოსაც იმ გაუგებარ სამყაროში ერთგულად ქირსოვდნენ. ცდილობდა, ნაკლებად მიეცა მავანთათვის ამ ღვთაებრივი სითხის წაბილწვის უფლება. თითქოს მთელი არსებით გრძნობდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რომ იყო მისი გადაჩენა; რაღაცნაირად, არასაბჭოთაქვემოწინააღმდეგოვანად, არსებობდა, ყველასგან გამორჩეულად; არავის ჰგავდა, აბსოლუტურად თავისუფალი იყო დანაშაულის იმ კომპლექსებისგან, რომელიც, მეტყველებდნენ, ყველა ჩვენგანს გააჩნია; ახლოს უნდა გავცნო, ეს ყველაფერი რომ შეგვეჩინა. შორიდან ისიც ჩვეულებრივი საბჭოთა ქვეყნის ბინადარი იყო, დიდი კომუნიზმის ფერხვლით აქტიურად ჩაბმული მოქალაქე. იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ელვრანტურად იცვამდა და „ფიგურის“ მარკის მხით დადიოდა. ეს მაშინ, ბავშვობაში მეგონა ასე. მერე, დროთა განმავლობაში, მივხვდი: ისიც ამორალური ძალადობის მსხვერპლი იყო, როგორც დახარჩენი ქვეყანა, რომელიც ზოგს რყვნიდა და ზოგს აუბედურებდა. მეგონა, მარტოობა მისი არჩევანი იყო, მაგრამ როცა მოხუცდა და სიმართლის პირში მიხლდა და გულის მოფხანა ჩვენად ექცა, როცა ცხოვრების გადაფასების ჟამი დაუდგა და აღარც შენიღბულ-შეღამაზებული ძლიერი პიროვნების იმიჯი ენაღებოდა, გულწრფელად აღაპარაკდა ყველა იმ მოვადღებულ წრეზე, რომლისაგან თავის დაღწევა ეფერაფრით მოახერხა.

ღვინის ჭირისუფლობა-მეთქი... ჭირისუფლობა კი არა, დედასავე ეფოფრებოდა. ფუნქციონირებულად და შერყეულად მაიჩნდა ღვინოც და მამაკაცებიც იმ საბჭოეთში. დარჩა კიდეც გაუთხოვარი, მაგრამ ამაზე მერე... ბავშვობაში ნიას „ღვინის დედას“ ვეძახდი. ახლა ვაცნობიერებ: ალბათ, ბავშვის ქვეცნობიერში დაღლებილმა ლინესტურმა სინტაგმებმა - მანვინის დედა, ჭინჭრის დედა - ენის საკომუნიკაციო შრეში სიღრმიდან ზედაპირზე ამოიტანა მეტაფორა, რომელთაც ნია ღვინის დედაობასთან დაეკავშირე. ერთი საერთო და განსაკუთრებული უნარი აღმოგვაჩნდა ორივეს. ეს იყო გემოსა და სუნის აღქმა. არაჩვეულებრივი მცხიერებისა და გამძაფრებული რეცეპტორების წყალობით ზუსტად ვხედვდით ღვინის არომატს, სუნს, ფერს, წარმომადგენლობას, ასაკს და ტონებს. კარგა მოზრდილი გოგო ვიყავი, ეს უნარი რომ აღმოაჩინა ნიამ

ჩემში, ძალიან გაუხარდა და დიდი გახიზნებით მაზიარა გემოებისა და არომატების ზღაპრულ სამყაროს; მასწავლებელიც ამისხნა ღვინის ჭირითი შემადგენლობა და მითხრა: ღვინო ძალიან მოაწყენი სასმელი იქნებოდა და არც მკლავინებდა იქნებოდა საინტერესო პროფესია (სოფლისე პროფესია მაშინდელ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა), გარდა ქიმიური შემადგენლობისა, განსაკუთრებული მახასიათებლებიც რომ არ იყოს მასში; რასაც შენ გემოს უწოდებ, ეს არომატიაო, ბუნება სრვადსხვა გემოს მისაღებად ერთი და იმავე არომატებს იყენებს, ოღონდ სხვადასხვა პროპორციებითო; ყელუხს შემდეგ ჰაერის მცირე რაოდენობა პირის ღრუდან ცხვირში გადადის და სწორედ ამ მეგრძნების დამსახურებაა ღვინის გემოს აღქმაო; გასინჯვისას ყოველ ჯერზე სხვადასხვა არომატს უნდა მოილოდე და მათი ერთმანეთისგან განსხვავება უნდა შეძლოო; დიდი გამოცდილება და მცხიერება საჭირო, სწორედ რომ დაარქვა სახელი ამა თუ იმ არომატსო... და ასე, ნელ-ნელა შეგაგრძნობინა ენზიმებისგან გათავისუფლებული ეს ხალისიანი და მდიდარი არომატული მოლეკულები: ალუბლის, მწვანე ვაშლის, ლიმონის, გრეიფრუტის, მსხლის, ატმის, მავლის, ყოლის, ვანლის, თაფლის, შოკოლადის, სხვადასხვა საწებლების, ჩაისა თუ მინდვრის ყვავილების... თითქოს ჩემი ეს აკავიებული გულისრევის შეგრძნება ღვინის დიდებულ არომატებს უნდა დაეთრეუნა; ბოლოს ისე შევვდივით ენაში, რომ ღვინო აღარ ვიკმარეთ და ადამიანებზე გადავდით. მათი ხასიათის, გარეგნობისა თუ შინაგანი სამყაროს მიხედვით ვუწრვდივით ფერსა და არომატს ამა თუ იმ პიროვნებას. ეს ერთგვარ გასართობად გვექცა. სიბერეშიც კარგად ერთობოდა ამ თამაშით. როცა მარტოობას ებრძოდა იმ ცივი ზამთრის საღამოებში, მირეკავდა და მეკითხებოდა - აბა შენებზედ დამიხსიათო ესა და ეს ახლადგამომცხვარი პოლიტიკოსი ან ესა და ეს ეგრეთ წოდებული „ცნობადი სახეო“, ან სულაც ვინმე ჩვენს საერთო ნაცნობზე მკითხავდა აზრს და ორივეს შეფასება და ახსოვადივით ერთმანეთს თუ დაემთხვეოდა, ბევრს იცინოდა. მერე ისე გავთამაშდით, რომ ამ გემოებისა და სუნების მიხედვით სიუყვრებს ვაცვებდით და უცნაურზე უცნაურ შეტყუარებს ვიცვებდით.

